1

# ხმაური სცენის მიღმა

ლოიდ დალასი - რეჟისორი

დოწი/მისის კლაკეტი

გარი/როჯერი

ბრუკი/ვიკი

ფრედი/ფილიპ ბრენტი

ბელინდა/ფლავია ბრენტი

სელსდონი/ბარგლარი

პოპი – რეჟისორის ასისტენტი

ტიმი – სცენის მემანქანე

## პირველი მოქმედება

(ისმის ტელეფონის გაბმული ზარი)

დოწი – მოვდივარ, მოვდივარ. ღმერთო მაღალო. მოკეტილია? თევზის კონსერვი გავხსნა, თან ყურმილი ავიღო. რვაფეხა ხომ არ ვარ! ალო... გისმენთ! .. არა, მისტერ ბრენტი არ გახლავთ. ცხოვრობს როგორ არ ცხოვრობს, მაგრამ ახლა არ ცხოვრობს. ესპანეთშია და იმიტომ. ხო მისტერ ბრენტი, სწორედ ის წიგნებს რომ წერს. მეუღლე? ისიც ესპანეთშია. მთელა ესპანეთშია. არა, მე არ ვარ ესპანეთში. მე შინამოსამსახურე ვარ. ოთხშაბათს პირველ საათამდე ვალაგებ. უბრალოდ აქ ფერადი ტელევიზორი აქვთ. დღეს კი საშეფო დღეა, გადავწყვიტე პირდაპირ ტრანსლაციას ვადევნო თვალი. თქვენ თუ ბინის ქირაობა გსურთ მათ პირად აგენტებს დაუკავშირდით. სკვაერ, სკვაერ, ჰეკემი და ვერ ვიმახსოვრებ რა ქვია იმას. არა, ისინი არ არიან ესპანეთში. შემიძლია მოგცეთ მათი საკონტაქტო. სკვაერ, სკვაერ, ჰეკემი და.. მოიცადეთ ერთი წუთით. წავიღო თევზის კონსერვი თუ აქ დავტოვო? წავიღებ, წავიღებ, რატომ იქნებ დავტოვო? წავიღებ ასე აჯობებს

ლოიდი – თევზი დატოვე მაგიდაზე და ყურმილი დაკიდე.

დოწი – ხო, ხო. ვკიდებ ყურმილს

ლოიდი - თევზს მაგიდაზე ტოვებ

დოწი – ვტოვებ?

ლოიდი – ტოვებ

დოწი – ყურმილს ვკიდებ და თევზს მაგიდაზე ვტოვებ?

ლოიდი – ხო

დოწი – შევცვალეთ ეს სცენა ძვირფასო?

ლოიდი – არა ძვირფასო

დოწი – ყოველთვის ასე ვაკეთებდი

ლოიდი – ეჭვი მეპარება

დოწი – რაც შეეხება ტექსტს ძვირფასო, ხომ არ ვურევ რამეს?

ლოიდი – ვეჭვობ კი

დოწი – თავი კი არა სათამაშო აპარატი მაბია. ვაღებ პირს და რა წამოვარდება არ ვიცი. სამი ფორთოხალი, ოთხი ბანანი, ორი ლიმონი. არ ვიცი!

ლოიდი – არაუშავს. შუაღამემდე არის დრო.. პრემიერამდე კი ერთი დღე. იღებ ტელეფონს "სკვაერ, სკვაერ, ჰეკემი და დედლი". სიჩუმე კულისებში!

დოწი – სკვაერ, სკვაერ, ჰეკემი და დედლი. მოითმინეთ. (თავისთვის) ვკიდებ ყურმილს.. ყოველთვის ასეა, ერთად უნდებათ რეკვა და გავდივარ...(გადის)

(შემოდიან გარი და ბრუკი)

გარი – ხომ ვამბობდი რომ არავინ იქნება მეთქი

ლოიდი – შეჩერდით!

გარი – შინამოსამსახურეს დღეს დასვენების დღე აქვს ასე რომ..

ლოიდი – შეჩერდით!

გარი – მთელი სახლი ჩვენს განკარგულებაშია

ლოიდი – სტოპ! დოწი!

დოწი – დავბრუნდე?

ლოიდი – კიდებ ყურმილს, ტოვებ თევზის კონსერვს და მიაქვს გაზეთი

გარი – აილე ძვირფასო

დოწი – მაპატიე რა

გარი – არაუშავს, ტექნიკური რეპეტიციაა

ლოიდი – გეშლება გარი, გენერალური რეპეტიციაა

გარი – ტექნიკური როდისღა იყო?

ლოიდი – მანამ სანამ გენერალურს დავიწყებდით

გარი – ჩვენ ყველას გვგონია, რომ ტექნიკურია, ასე არ არის?

დოწი – ეს ოხერი ტექსტი..

გარი – ტექსტზე ნუ ნერვიულობ

დოწი – პირს ვალებ და ფორთოხალი, ბანანი, ლიმონი...

გარი – რაც არ უნდა იყოს, ავტორის ტექსტს გაცილებით სჯობს. (ბრუკს) ხომ მართალი ვარ?

ბრუკი – უკაცრავად რაა?

გარი – (დოწის) ნურაფერზე ნერვიულობ, ამ როლს ისე თამაშობ როგორც რავიცი..ხომ ხვდები რისი თქმაც მინდა?

ლოიდი — მორჩა, გეყოფათ, გარი და ბრუკი კულისებში, დოწის უჭირავს ყურმილი.

გარი — უკაცრავად ლოიდ უბრალოდ ზოგჯერ ყველაფერი უნდა თქვას რაც დაგვყოვნოვდა, ხომ გესმის ჩემი?

ლოიდი — მესმის.

გარი — ვიცოდი რომ გაიგებდი.

ლოიდი — ყველაფერი კარგად არის, გარი კულისებში.

გარი — კარგი რა, რა დაგემართა, ბოდიში, რახან შეგწყვიტეთ, ბარემ ერთი რამეც მათქმევინე.

ლოიდი — თქვი.

გარი — ლოიდ, ბევრ რეჟისორთან მიმუშავია, კარგებთან, ასე რა რეჟისორებთან, გენიალურებთანაც კი, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ასეთი სრულყოფილი, მე ვიტყოდი სრულქმნილი, უნაკლო და უძვირფასი რეჟისურა არტისტის ასეთი შეგრძნება, ჰარმონიული სუნთქვა, იდეის ბოლომდე მიტანა , პროცესის განშლა ............ გროტესკის შეგრძნება, რა არაჯარ მართალი?

ლოიდი — მართალი ხარ დიდი მადლობა, გული ამიჩუყე ეხლა კი თუ არ წაეთრევი კულისებში, დებილი დეგენერატი, ჩემი საკუწილი ვინდა? შენც ბრუკ.

ბრუკი — დიახ.

ლოიდი — მზად ხარ?

ბრუკი — მზად ვარ?

ლოიდი — სად ხარ?

ბრუკი — რა თქვი?

ლოიდი — შენი გამოსვლა იქნება, დაგიძახებთ, არ შეგეშალოთ, მისის კლაკეტს ხელში ყურმილი უჭირავს...

დოწი — მეც ამას არ ვამბობდი, ვკიდებ ყურმილს ვტოვებ თევზს, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, ვიწყებ თუ არა დასასვენებლად..

ლოიდი — იღებ გაზეთს...

დოწი — ვიღებ გაზეთს, მიწევები დასასვენებლად... და ხომ იცით დაქანცულ კაცს ქვა ალმართში დაეწევაო და გავდივარ.

ლოიდი — ყურმილი დადე...

დოწი — ვდებ და გავდივარ.

როჯერი — ხომ გამბობდი რომ არავინ იქნება მეთქი, შინამოსამსახურეს დღეს დასვენების დღე აქვს ასე რომ მთელი სახლი ჩვენს განკარგულებაშია. შევამოწმით, სახლში არის ვინმე? გეუბნებოდი, მოგწონს?

ბრუკი — საოცარია, და ეს ყველაფერი შენია?

როჯერი — კარგი, კარგი, არაფერი ისეთი, XVI საუკუნის ძველი დანგრეული წისქვილია ტყის პირას.

ვიკი — მაგარი ძვირი დაჯდა?

როჯერი — ასე რა, უნდა გქონდეს ერთი ადგილი საქმიანი შეხვედრებისთვის, გესმის ალბათ. მართლა ოთხსაათზე შეხვედრა მაქვს, არ დამავიწყდეს, ერთი არაბია, შეიხია, ხომ იცი ეს ნავთობმაგნატები,შეიხები.

ვიკი — მართლა, მეც ოთხ საათზე საბუთები მაქვს მისატანი ჩვენს დეპარტამენტში.

როჯერი — მაშინ ლოგინზე თორემ შეიძლება ვერ მოვასწროთ. შამპანურს არ ნავაცოებ.

ვიკი — ეს რა კარებებია?

როჯერი — ეს კაბინეტია, აქ საშხაპეულია, ეს შინამოსამსახურეს ოთახია.

Forward გადმოწერა

ლოიდი — მორჩა, გეყოფათ, გარი და ბრუკი კულისებში, დოწის უჭირავს ყურმილი.

გარი — უკაცრავად ლოიდ უბრალოდ ზოგჯერ ყველაფერი უნდა თქვას რაც დაგროვდა, ხომ გესმის ჩემი?

ლოიდი — მესმის.

გარი — ვიცოდი რომ გაიგებდი.

ლოიდი — ყველაფერი კარგად არის, გარი კულისებში.

გარი — კარგი რა, რა დაგემართა, ბოდიში. რახან შევჩერდით, ბარემ ერთი რამეც მათქმევინე.

ლოიდი — თქვი.

გარი — ლოიდ, ბევრ რეჟისორთან მიმუშავია, კარგებთან, ისე რა რეჟისორებთან, გენიალურებთანაც კი, მაგრამ მინდა ვაღიარო, რომ ასეთი სრულყოფილი, მე ვიტყოდი სრულქმნილი, უნაკლო და უვნებელი რეჟისურა არტისტის ასეთი შეგრძნება, ჰარმონიული სინთეზი, იდეის ბოლომდე მიტანა, პროცესის განშლა ............ გროტესკის შეგრძნება, რა არაგარ მართალი?

ლოიდი — მართალი ხარ დიდი მადლობა. გული ამიჩუყე ეხლა კი თუ არ წაეთრევი კულისებში, დებილო დეგენერატი. ჩემი სიკვდილი გინდა? შენც ბრუკ.

ბრუკი — დიახ.

ლოიდი — მთვრალ ხარ?

ბრუკი — მთვრალ ვარ?

ლოიდი — ხარ ხარ?

ბრუკი — რა თქვი?

ლოიდი — შენი გამოსვლა იქნება. დაგიძახებთ, არ შეგვეშალოთ. მისის კლაკეტს ხელში ყურმილი უჭირავს...

დოწი — მეც ამას არ ვამბობდი, ვკიდებ ყურმილს ვტოვებ თევზს, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, ვიწყებ თუ არა დასასვენებლად..

ლოიდი — იღებ გაზეთს...

დოწი — ვიღებ გაზეთს, მიწევები დასასვენებლად... და ხომ იცით დაქანცულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო და გავდივარ.

ლოიდი — ყურმილი დადე...

დოწი — ვდებ და გავდივარ.

როჯერი — ხომ გამბობდი რომ არავინ იქნება მეთქი. შ.*ამოსამსახურეს დღეს დასვენების დღე აქვს ასე რომ მთელი სახლი ჩვენს განკარგულებაშია. შევამოწმოთ. სახლში არის ვინმე? ვეუბნებოდი, მოგწონს?

ბრუკი — საოცარია, და ეს ყველაფერი შენია?

როჯერი — კარგი, კარგი, არაფერი ისეთი, XVI საუკუნის ძველი დანგრეული წისქვილია ტყის პირას.

ვიკი — მაგარი ძმური დაჯდა?

როჯერი — ისე რა, უნდა გქონდეს ერთი ადგილი საქმიანი შეხვედრებისთვის, გესმის ალბათ. მართლა ოთხსაათზე შეხვედრა მაქვს, არ დამავიწყდეს, ერთი არაბია, შეიხია, ხომ იცი ეს ნავთობმაგნატები,შეიხები.

ვიკი — მართლა, მეც ოთხ საათზე საბუთები მაქვს მისატანი ჩვენს დეპარტამენტში.

როჯერი — მაშინ დროზე თორემ შეიძლება ვერ მოვასწროთ. შამპანურს არ ჩავაცივებ.

ვიკი — ეს რა კარებებია?

როჯერი — ეს კაბინეტია, აქ სამზარეულოა, ეს შინამოსამსახურეს ოთახია.

ახალი მე

ვიკი — მაგარია! და ის სად არის?
როჯერი — რა? ა, აქეთ მობრძანდით.
ვიკი — დავეცი!
კლაკეტი — თევზი სად დავდე?
როჯერი — მაპატიეთ, არ მეგონა თუ ვინმე იყო.
კლაკეტი — არავინაც არ არის აქ. მე? მე დასვენების დღე მაქვს, უბრალოდ ტელევიზორში იყო. რა ქვია იმას... სამეფო...ქალები ქუდებში რომ დადიან... და გოგონები... თქვენ უკაცრავად ვინ ბრძანდებით?
როჯერი — მე, მე სააგენტოდან ვარ. სკვაერ, სკვაერ მეკემი და დედლი.
კლაკეტი — დედლი, დედლი, აბა რა, თქვენ რომელი ხართ სკვაერ, სკვაერ, მეკემი თუ დედლი?
როჯერი — მე ტრემპლმენი ვარ.
კლაკეტი — პირადად მე ქურდი მეგონეთ.
როჯერი — როგორ გეკადრებათ, რაღაც ზომები მქონდა დასაზუსტებელი და გზად შემოვიარბინე, თან კლიენტიც მოვიყვანე, იქნებ იქირაოს მეთქი.
ვიკი — რა ჭირს ამ კარს?
როჯერი — სახლის ქირაობა სურს, სასწრაფოდ მჭირდებათ.
ვიკი — ეს საძინებელი არ არის.
როჯერი — რა თქმა უნდა არა, ეს აბაზანაა, საშხაპიდან შეთავსებით, ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~. ეს კი შიდამოსამსახურე მისის კროკეტი.
კლაკეტი — არა ყმაწვილო კლაკეტი, კროკეტი კი არა კლაკეტი.
ვიკი — ჰაი!
როჯერი — ის... ის პრინციპში აქ არ არის.
კლაკეტი — უბრალოდ დიდ ტელევიზორი... თან სამეფო...
როჯერი — სამეფო დღესაა დღეს, სახლში კი თურმე პატარა ტელევიზორი ჰქონიათ, ჩვენ დიდხანს არ შეგაწუხებთ.
კლაკეტი — ნუ შეწუხდებით, პირიქით ხმას მე დავუწევ.
როჯერი — სახლს დაათვალიერებთ და მერე ნახოთ...
კლაკეტი — გაზეთი სად არის?
ლოიდი — თევზის კონსერვის...
ვიკი — ტელევიზორი არც გჭირდება, არა?
ლოიდი — თევზის კონსერვი.
დოტი — დამავიწყდა, რომ ეს თევზის კონსერვი.
გარი — რა უბედურება ჭირს ამ თევზის კონსერვს, არ შეიძლება რომ რამეთი შევცვალოთ?
ლოიდი — რას მთავაზობთ?
გარი — შენ რა სცენაზე მე უნდა გამოვიდე. მე მოვითხოვ რომ ბოლომდე განსწორდეს თევზის კონსერვის ხაზიარტისტულობა თუ არ იცოდი ზუსტად არაფერი არ გამოვა. და შენ კარგად იცი ეს ლოიდ. რა არა ვარ მართალი?
ვიკი — რაო რა თქვით?
გარი — თევზის კონსერვი მაქვს მხედველობაში.
ბრუკი — თევზის კონსერვი?
გარი — ვჩივით, ვიჩხუბებით და რატომ უნდა ვიყოთ ამ თევზის კონსერვზე დამოკიდებული, რომელიც მარტო პირველ აქტშია ისიც სულ ოთხჯერ, ხომ გესმით რისი თქმაც მინდა?
ლოიდი — პოპი! გამოვცვალოთ, კი ბატონო, ჯობია კლაკეტმა ბანანის ტორტი გამოიტანოს.

Forward გადმოწერა

ახალ

დოწი — ქვირფასო, ტორტი არ არის საჭირო.
ლოიდი — პოპი! თევზის კონსერვი იცვლება ტორტით, ბანანის.
გარი — ოღონდ შენ ნუ ინერვიულებ და იქნებ თევზი დავტოვოთ. პოპი, ქვირფასო, ტორტი საჭირო არ არის.
დოწი — მართალია, ძალიან კარგი თევზის კონსერვია.
გარი — შენ თუ არ გაწუხებს, მე საერთოდ არ მაწუხებს ამ თევზის პრობლემები, ხომ გესმის ჩემი?
დოწი — მე მაწუხებს პირიქით, მე მეწუხებს, რომ შენ წუხდები, თორემ...
ლოიდი — გარი, რა გინდა ბოლოს დაბოლოს?
გარი — მე მინდა ავღნიშნო ~~რომ ჩვენ აქ ვსაუბრებით~~ და შენ კიდე... მოკლედ ხომ გესმის ლოიდ?
ლოიდი — გასაგებია, პოპი გასაგებია?
პოპი — გასაგებია.
ლოიდი — ძალიან კარგი, დავიწყეთ, დოწის შემოსვლიდან და ამასობაში შენ მოემზადები.
გარი — ცდას.
ლოიდი — რა დიას, აღარ შეგეშალოს.
გარი — არ შემეშლება. მაპატიე, უბრალოდ მე მეგონა რომ...
ლოიდი — შენ ფიქრობდი, რომ დოწი დაწყნარებულიყო.
დოწი — მე წყნარად ვარ ქვირფასო.
ლოიდი — მაშინ ერთი რამე გამიკეთე ჩემო კარგო.
დოწი — რაც გინდა ტკბილო.
ლოიდი — თევზის კონსერვი წაიყოლე.
როჯერი — მაპატიე.
ვიკი — მე რა, ტელევიზორი გვჭირდება ვითომ?
როჯერი — რამდენი თაობა გამოიცვალა ამ ქალმა ჩვენს ოჯახში, ოჯახის წევრივითაა.
ვიკი — არ, ვნახოთ სხვა ოთახები? ოთხზე დეპარტამენტში უნდა ვიყო.
~~მაშინ ოლიოვ შემთხვევით დოლლითო და~~ [illegible]
ვიკი — წამოდი, ჩემი საბუთები არ დამრჩეს.
როჯერი — იცი, რა არის ეს ქალი?
ვიკი — ვინ ქალი?
როჯერი — ხომ გესმის ოჯახის წევრივით არის.
კლაკეტი — ეპ, თევზის კონსერვს არ იყოს, ან ილევ ან ტოვებ, მოკლედ, ან ქირაობთ ან არა, იცოდეთ არ წააგებთ.
ვიკი — მართალია.
კლაკეტი — ქირაობთ?
როჯერი — აბა რა.
კლაკეტი — მე მომწონხართ, თქვენ?
როჯერი — რასაკვირველია.
ვიკი — გლიჯავს.
კლაკეტი — გამახსენდა, გშიათ?
ვიკი — თევზიც შემოგვთავაზა, მაგარია.
როჯერი — საოცარია.
ვიკი — მოკლედ, რას აპირებთ?
როჯერი — დოწის ავიყვანთ ~~ხოლიგანებში~~ სანამ დაბრუნებულა, თევზით.
ვიკი — ზემოთ? არა, აქ აბაზანაა.
როჯერი — ბოდიში, მარცხნივ.

Forward გადმოწერა

ვიკი — შავი ზეწრები.
როჯერი — კარადაა, აქეთ, აქეთ. ეს კარია.
ვიკი — კარგი ნუ გაგიჟდები.
როჯერი — აქეთ, აქეთ.
ვიკი — ნელა კარი არ დაანგრიო.
ფილიპი — მისის კლაკეტიც არ არის.
ლოიდი სტოპ.
ფილიპი -- სახლი ჩვენს განკარგულებაშია,
ლოიდი — და თქვა უფალმა: პოი შეჩერდით, და შეჩერდნენ ისინიც.და სეძრწუნდა იგი, რამეთუ დაინახა რომ საშინელება იყო ეს.
გარი — უკაცრავად, არ იხსნება და რა ვქნათ.
ბელინდა — პირიქით გარი ეს ჩვენი არ იხურება.
ლოიდი — და აღმოხდა უფალს — პოპი!
ფრედერიკი — დიდი ბოდიში ჩემი ბრალია, სულ მერევა რომელ მხარეს ვკეტავ კარს.
ბელინდა — შენ არაფერი შეგშლია.
ფრედი — მე არ გამიტეხავს.
ლოიდი — და მოგვევლინა პოპი და უთხრა უფალმა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, ოღონდ წიმმა კარი შეაკეთოს.
ბელინდა ვგიჟდები ტექნიკურ რეპეტიციებზე.
გარი — გიჟდება. დოწი, დოწი!
ბელინდა — როგორი კეთილგანწყობილი ურთიერთობებია გენერალურის დროს. ფრედი, არ გიყვარს გასალალავებელი რეპეტიციები?
ფრედი — როგორ?
ბელინდა — უწყვეტი, ფრედი, უწყვეტი, ანუ გასალალავებელი რეპეტიცია. მთელი ღამის განმავლობაში ვლალაობთ და ვლალაობთ.
ფრედი — ერთადერთი პლიუსი ისაა, რომ მეორე დღის დასვენება შეიძლება.
ბელინდა — ხუმრობ? ხუმრობს! კარგ ხასიათზე დადგა.
ფრედი — სულაც არ მეხუმრება.
ბელინდა — რა შეკრული კოლექტივი გვაქვს, რა ბედნიერებაა თქვენს გვერდით მუშაობა.
დოწი — ერთი წლის მერე ვნახოთ რას იტყვი.
ბელინდა — ლოიდ, როგორ გრძნობ თავს ტკბილო?
ლოიდი --- აი, ახლა ვხვდები რას ფიქრობდა უფალი, როდესაც ეულად იჯდა უფალი წყვდიადში და სამყაროს ქმნიდა.
ბელინდა — რაზე ფიქრობდა ასეთზე?
ლოიდი — ნიტროგლიცერინზე.
ბელინდა — ~~იმას რა უჭირს, იმას მთელი ექვსი დღე ქონდა და ჩვენ ექვსი საათი.~~
ლოიდი — და აღმოხდა უფალს: სად არის წიმი! და გამოჩნდა ისიც, ბნელი და უდაბური, და თქვა ღმერთმა: დე იღებოდეს კარი საჭირო ჟამს და იკეტებოდეს კარი იგივე ჟამსა საჭიროსა, და დაინახოს ღმერთმა რომ კარგია ის.
წიმი — რაო, რა გავაკეთო?
ლოიდი — კარი, კარი უნდა შეაკეთო, კარიბჭე გამყოფი სამყაროსი.
წიმი — პოპიმ ტორტზე გამაგზავნა.
ლოიდი — კარი, კარიბჭე.
წიმი — რა კარი?

ლოიდი — და ბედნიერი იყო უფალი, რამეთუ ჰყავდა გარშემო ხალხი გამგებნი ადამის ენისა.
ბელინდა — მომისმინე ტიმ. მას უნდა გითხრას, რომ ეს კარი არ იკეტება.
გარი — საძინებლის კარი კი საერთოდ არ იღება.
ტიმი — გავიგე!
ბელინდა — 48 საათია არ უძინია, რა ქნას.
ლოიდი — 24 საათიც მოითმინეთ და მორჩა.
ბელინდა — აჰ, საოცრებაა. უფალი ჩამოვიდა ცოდვილ მიწაზე.
ლოიდი — მომისმინეთ, რადგანაც შევჩერდით, დეკორაციის დასაყენებლად ორი დღე დავკარგეთ, დაგვრჩა ერთი პროგონი, უკაცრავად ბელინდა, გასალამაზებელი რეპეტიცია, დაწყნარდით, ჩუმად, ჩვენ მაინც დაგვრჩა იმის დრო, რომ პიესა გავიაროთ თავიდან ბოლომდე. ნუ მიაქცევთ ყურადღებას კარებს, თევზის კონსერვს, ვინ სად დგას და საიდან შემოდის. მთავარია ვითამაშოთ ამბავი, მოვყვეთ, ვერ გიხსნით არა? ამის დამახსოვრებას რა უნდა, აქედან შემოდიხარ, იქედან გადიხარ, ეს ყველას შეუძლია, დაიჭირეთ გრძნობათა ბუნება, გროტესკი, ფარსი, თეატრი ხომ იგივე ცხოვრებაა.
ბელინდა — მივხვდით, ბოლოს და ბოლოს.
ლოიდი — მარტივად, მარტივად, ითამაშეთ ხასიათი და არა კარიკატურა, რბილად, რბილად, ბახ გამოხვედი, ბუხ შეხვედი, ჯახ მოიტანე, ჯუხ გამოიტანე და ყველაფერი კარგად იქნება, და რაც შეეხება სელზდონის გმირს... მართლა სად არის? პოპი!
დოტი — დარბაზში არ იყო შენთან?
ლოიდი — არა კულისებში იყო შენთან, ნახე ერთი სელზდონი საგრიმიოროში ხომ არ არის?
ფრედი — კარგი რა, ახლა ნუ იწყებ და რაღა პრემიერის წინ... არა არ იზამდა.
ბრუკი — ვინ არ იზამდა? რას?
~~გარი — სელზდონი, ვერ [illegible].~~
ფრედი — არა, არ იზამდა.
დოტი — კაცმა არ იცის.
ბრუკი — რას არ იზამდა? ვინ? რას?
ბელინდა — ტყუილად ნერვიულობთ.
ფრედი — მართალია.
ლოიდი — დუბლიორი მაინც გავამზადოთ. ტიმ...
ტიმი — დიახ!
ლოიდი — დროზე დაამთავრე, შეიძლება სელზდონის მაგივრად მოგიწიოს შესვლა.
ტიმი — გავიგე!
დოტი — ბოთლებისთვის თვალი არ მოაცილოთ მეთქი.
ბელინდა — ამ ხნის მანძილზე მცდელობაც კი არ ჰქონია.
გარი — ბუნებრივია, სამაგიდო რეპეტიციები გვქონდა და...ხომ გესმით... ერთ ოთახში ვსხედით და...ჩვენი თანდასწრებით ხომ... ხომ ხვდებით რისი თქმაც მინდა.
პოპი — საგრიმიოროში არ არის.
დოტი — ყველგან ნახე? სარეკვიზიტოროში, გარდერობში?
ფრედი — დოტი, შენ ფიქრობ რომ... ადრე ხომ ერთად მუშაობდით.

Forward გადმოწერა

ლოიდი — დარეკე, დარეკე პოლიციეში. კარები მორჩა? წადი ჩაიცვი. რას იზამ დოწი, ასეთი ულმობელი პროფესია გვაქვს.
დოწი — ჩემი ბრალია, ჩემი.
ლოიდი — შენრა შუაში ხარ, რიოლი მე მივეცი.
დოწი — აბა რა ვქნა, ადამიანს ყოველთვის უნდა მისცე გამოსწორების შანსი. რა კარგი არტისტია... მაგრამ რად გინდა...
გარი — არა, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე უნდა შემეჩერებინე, ჩემზე კარგად ვინ იცის შენი კეთილი გულის ამბავი, ვინ? ხომ გესმის ჩემი დოწი რისი თქმაც მინდა... კარგად იცი რომ პირადი გრძნობები და ბიზნესი... ხომ გესმის? და ნუ დაგავიწყდება რომ ეს სპექტაკლი შენი ფულით... ხომ ხვდები?
ლოიდი — ყველაფერს ვხვდები.
დოწი — ფული რა შუაშია.
ფრედი — რა თქმა უნდა.
ბელინდა — ვიცით, ვიცით, ბრუკ, შენ რაღა გატირებს?
ბრუკი — რა? არა, არა, ლინზების ქვეშ რაღაც ჩამივარდა.
დოწი — კარგად მახსოვს, დაწყების წინ, სელზდონი, შენთან იდგა პარტერში.
ბრუკი — ვიზე ლაპარაკობთ? ვის ეძებთ?
ბელინდა — ნუ ღელავ ძვირფასო, შენ მაიც ვერ დაინახავ.
ბრუკი — სელზდონს ეძებთ? ის ხომ აქ დგას.
ბელინდა სელზდონ!
გარი მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ იდგა და გვისმენდა.
ლოიდი ედგა როგორც ჰამლეტის მამის აჩრდილი.
ფრედი გვეგონა, რომ...
დოწი სად იყავი, სად?
ლოიდი დავირეკეთ შენს ლონდონში.
სელზდონი დაგვლიით?
ბელინდა დაყლიით, დაგლიით.
სელზდონი რა, რეპეტიცია აღარ გვაქვს? სპეციალურად დავიძინე ბოლო რიგში ვიფიქრე რეპეტიციაზე ჩიტივით ვიქნები-მეთქი, მაგრამ რად გინდა.
ბელინდა არ შემიძლია, რა სიცოცხლეა.
ლოიდი სიცოცხლე, გავსავდით მაგის ძებნით.
სეჯზდონი რას სჯავდით?
ბელინდა რას ცსჯავდით?
დოწი ხმა ვერ აიღე?
ლოიდი ჩუმად, შეუსწორებულის სადღეგრძელოა.
სელზდონი პრემიერა გადაიდო?
ბელინდა რა სიცოცხლეა.არა?
დოწი თუ გადაიდება შეგატყობინებთ.
ლოიდი რა გინდა რა?
წიმი კოსტუმი არსად არ არის. ყველგან ვეძებე, ა, იპოვეთ?
გარი ვიპოვეთ, და მაინც ამ როლზე მისი დაკავება დიდი რისკი იყო.
სელზდონი რისკი იყო? აღარ არის? სულ დალიეთ?
ლოიდი დავლიეთ, დავლიეთ, წიმ, წადი ეხლა დაისვენე თორემ დაღლილობისგან ფეხზე ვერ დგეხარ.
სელზდონი არ გავაგრძელოთ?
ლოიდი გავაგრძელებთ ოღონდ რეპეტიციას გავაგრძელებთ.
სელზდონი გააგრძელეთ მე ხელს აღარ შეგიშლით.

ბელინდა   გავაგრძელოთ.
სელზდონი   ვინ არის ლოიდი?
ლოიდი   ვიწყებთ თქვენი გამოსვლიდან.
პოპი   მოვიდნენ.
ლოიდი   ვინ?
პოპი   პოლიცია.
ლოიდი   პოლიცია?
პოპი -- იპოვეს. უგონოდ იყო. საწყალი მოპირდაპირე სახლის სადარბაზოში ეგდო, აუ ყარდა თურმე. მართლა ხანდახან ისეთი სუნი ასდის, ახლოსაც ვერ გაეკარები.
ლოიდი   პოპი, როგორი ჭკვიანი და ტაქტიანი ხარ. პირდაპირ დაბადებული ხარ აქტიორებთან ურთიერთობისთვის.
ბელინდა   პოპი, ძვირფასო მაინც ყურში არ ესმის.
სელზდონი   ვის არ ესმის?
ლოიდი   არაფერი, ჩუმად.
ბელინდა   დაჯექი ჩემო კარგო.
დოწი   წადი დაისვენე.
ლოიდი   შენი გამოსვლა 20 გვერდის მერე.
სელზდონი   კარგით, წავალ დავისვენებ.
ლოიდი   გავაგრძელეთ, ე. ი. დოწი სამზარეულოში კონსერვს ხსნის, ფრედი და ბელინდა შემოსასვლელ კართან დგანან. გარი და ბრუკი საშლაჭუნოდ არიბარით საძინებელში, შექმენით ატმოსფერო.
ბელინდა   გვრიტებივით არიან არა?
ლოიდი   ვინ?
ბელინდა   გარი და დოწი... ჩშ...
ლოიდი   მართლა? არა? დედაა ეკუთვნის, გარი და დოწი?
ბელინდა   შენ რა არ იცოდი?
ლოიდი -- აბა საიდან. ლუქერი კი ვარ, მაგრამ დაბალი რანგის, მართალია უმაღლესი განათლებით.
გარი   არ გქონათ რამე?
ლოიდი   ამაზე მეტი რაღა უნდა ქნა? [illegible]
~~გარი   ვის ეგულისხმება?~~ ~~[illegible]~~
~~ლოიდი   შენ რის ელოდები [illegible] [illegible] [illegible] წლის როდის გახდება.~~
გარი   რაღა, რაო?
ლოიდი -- რეპეტიციას ელოდება გარი, რეპეტიციას. ბრუკ - კარის გაღებასაც ვეღარ ასწრებს -
გარი [illegible]!..
ვიკი . კარის გაღებასაც ვეღარ ასწრებს.
ფილიპი   სახლი ჩვენს განკარგულებაშია. მისის კლაკეტს დასვენების დღე აქვს.
ფლავია   შესანიშნავია.
ფილიპი   მოგწონს? / დაუჯერებელია. / ~~შეუდარებლად ისეთი~~ შემთხვევებისთვის მაქვს ნაყიდი.
ფლავია ~~საკუთარ სახლში.~~
~~ფილიპი~~   დიახ. ვერც კი წარმოიდგენენ რომ აქ ვართ.
ფლავია   სასაცილოა, პატარა ბავშვებივით ვიმალებით.
ფილიპი   — საგადასახადოს რომ გაიგოს აქ ვართ, სიცილი მერე ნახე. რა საინტერესოა, ბოროტმოქმედად ვგრძნობ თავს, საკუთარ სახლში. მიდი შამპანური დავლიოთ.

Forward   გადმოწერა

ფლავია საინტერესოა მისის კლაკეტს ჩვენი დაგვიანება ~~გამოცნობილი~~ აქვს?
ფილიპი მე აჯხორცი.
ფლავია რატომაც არა. არც მცხვენია. ბავშვებიც არ არიან. ნაცნობ-მეგობრებმა იციან, რომ ესპანეთში ვართ. და არავინ არ შეგვაწუხებს, რამდენი ხანია არ ვყოფილვართ მარტონი.
ფილიპი აბსოლიტურად მარტონი არა. ბოროტმოქმედებაში არის რაღაც ეშხი.
ფლავია თავი დაანებე.
ფილიპი ჩუმად საგადასახადო დეპარტამენტში არ გაიგონ.
ფლავია ურჩ გადამხდელებთან [illegible]ურთიერთობის არევამყარებ.
მისის კლაკეტი პირველად თევზის კონსერვი რომ გავხსენი სად წავიდე? მაინც ვერ მივაგნებ.
ფილიპი-ფლავია მისის კლაკეტ?
კლაკეტი როგორ შემაშინეთ. გული გამისკდა.
ფილიპი ჩვენც.
ფლავია გვეგონა აქ არა ხართ.
კლაკეტი მე კი მეგონა, რომ თქვენ ესპანეთში ხართ.
ფილიპი აბა რა. ჩვენ აქ არა ვართ, ესპანეთში ვართ.
ფლავია რომ გკითხონ ვერც კი გვხედავთ.
კლაკეტი როგორ? ა, ხო, საგადასახადო დეპარტამენტი.
ფლავია, ხომ იცით რასაც გვიზამენ რომ გაიგონ.
კლაკეტი გასაგებია, თქვენ აქ არა ხართ და არც მინახიხართ, მკითხავენ: სად არიან? ვეტყვი: მე რა ვიცი-მეთქი. საინგლისში მიდიხართ? რისი გრცხვენიათ? ამაზე კარგს რას იზამთ, მეც აქეთ აქედან პრობლემები, რომ მომაწყდებოდა. საწოლში ყველაფერი მაწყდებოდა. ბარემ აქ დატოვებთ?ფილიპი -- ჰო, მართლაც.
კლაკეტი -- სულ დამავიწყდა, ოთახში რომ გათბობა არ ჩამირთავს
ფლავია -, არაუშავს, ცხელი წყალი თუ გვაქვს სააბაზანოში ჩავახხავ და იქითი გავთბებით.
კლაკეტი მთელი კორესპონდენცია საწერ მაგიდაზეა კაბინეტში.
ფილიპი ხომ გითხარით, ყველა წერილი ესპანეთში გამოიგზავნეთ-მეთქი.
კლაკეტი კი. მაგრამ საგადასახადოდან იყო, ხასიათი ხომ არ გავიფუჭებდით.
ფილიპი ო, ეს გადასახადები, მანაჯეთ.
როჯერი აშკარად ხმები მესმის.
ვიკი რა ხმები, აბა ხმები?
ლოიდი სტოპ! ფრედი რა მოხდა?
ფრედი მაპატიე ლოიდ. ხომ იცი მიჭირს მიზანსცენების დამახსოვრება. მაპატიე გარი, და ბრუკ. შეიძლება მტყუანი ვარ. მაგრამ ამიხსენით რატომ მიმაქვს ეს ბარგიბარხანა კაბინეტში. არ არის ბუნებრივი. არ ჯობია აქ დავტოვო?
ლოიდი არ ჯობია.
ფრედი მაპატიე. მაგრამ ვიფიქრე უფრო ლოგიკური არ იქნება-მეთქი..
ლოიდი არა არ იქნება.
ფრედი ლოიდ მე...
ლოიდი ღვთის გულისათვის.
ფრედი მესმის, შეიძლება ამის დრო არ არის...
ლოიდი რატომაც არა, ზუსტად ამის დროა, პრემიერამდე სულ რამოდენიმე წუთიღა დარჩა.

ახალი

Forward გადმოწერა

ფრედი კარგი რა ლოიდ, მე მაინტერესებს, რატომ მაქვს ადამიანს თავისი ჩანთები და პროდუქტებით გატენილი ყუთი კაბინეტში, როდესაც მხოლოდ წერილები აქვს სანახავი.

გარი იმიტომ რომ შემდეგ ჩემი სცენაა და არც ჩანთა და არც ყუთი იქ არ უნდა იყოს...

ფრედი არა, ეს გასაგებია...

ბელინდა და კიდევ ფრედი ჩემო საყვარელო, ეს ნივთები სელზდონს კაბინეტიდან გამოსატანად ჭირდება.

ფრედი კი, ეს კი მესმის, მაგრამ...

ლოიდი სელზდონი სად არის?

ყველა სელზდონ, სელზდონ!

სელზდონი უკვე ხომ, ჩემი გამოსვლაა?

ყველა არა, არა.

ლოიდი შენს გამოსვლამდე კიდევ ათი გვერდია, შეგიძლია კარგად დაისვენო.

ფრედი არა, მე მაინც ჩანთის პრობლემა მაინტერესებს.

ლოიდი კარგი რა.

ფრედი არა, მაინტერესებს, რატომ მაქვს ჩანთა და ყუთი კაბინეტში.

ლოიდი მომისმინე, რატომ ვაკეთებთ ყველაფერს იმას რასაც ვაკეთებთ. შენ შეგიძლია ახსნა, რატომ გამოდის ეს იდიოტი ორი თეფში თევზის კონსერვით ხელში აი იმ კარიდან? იდიოტი ამ შემთხვევაში შენ პერსონაჟს ეხება გარი.

ფრედი ვიცი ვიცი და მართლა რატომ გამოვდივარ, არა მესმის, მაგრამ, რომ დავფიქრდე რატომ?

ლოიდი კაცმა არ იცის.

გარი ა, მისმინე ფრედი, კაცმა არ იცის.

ლოიდი ხალხნო გაიგეთ, ადამიანის ქმედების მოტივაცია იმდენად ღრმა და ამოუცნობია, რომ ხომ შეიძლება, რომ ღრმა ბავშვობაში, ჯერ კიდევ პატარა რომ იყავი გაგიფორმდა კომპლექსი, შიმშილის შიში და ამიტომაც პროდუქტებს არსად არ ყრის.

ბელინდა იქნებ ჯობდა გენეტიკაში მოგვეძია.

გარი არა მე ვფიქრობ, რომ ეს ქვეცნობიერია. ხომ გესმით.

ლოიდი სავსებით შესაძლებელია.

ფრედი მადლობთ, მაგრამ...

ლოიდი არ ვიცი ვეუბნები არ ვიცი-მეთქი, მე კი არა ავტორმა არ იცის რა უნდა, რა ჯანდაბამ გადააწყვეტინა პიესების წერა.

ფრედი ხომ უნდა გავამართლო ჩემი ქმედება?

ლოიდი უნდა ყველაფერს გაამართლებ ფრედი, შენ უნდა გაამართლო ფრედი. ამ ჩანთის და ყუთის გატანა გამართლებულია იმით, რომ უკვე შუა ღამეა და შენ თუ არ გაამართლებ, ჩვენი გასალალავებული რეპეტიცია გაგრძელდება ხვალ საღამომდე, პრემიერამდე. უფრო სწორედ დღევანდელ საღამომდე, პირველი საათია, დაგიწყეთ, ფრედი კაბინეტში გადის ჩანთითა და ყუთით.

ბელინდა კარგი რა დავუმართოთ, ვერ ხედავ ჭკუაზე არ არის, დღეს დილით ცოლმა მიატოვა.

ლოიდი არ ვიცოდი ფრედი, მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ასეა, როდესაც მისმა კლაკეტი გადასახადების თემას წამოჭრის, საშინელი შიში გეუფლება. შენ ხდები დაუცველი, გაუბედავი და ამიტომ გჭირდება რაიმე ნაცნობი, მარტივი, რაღაცას ხელი მოკიდო, ჩაეჭიდო, ვერ გახსნი ხომ?

ფრედი მივხვდი ლოიდ. მადლობ.
ბელინდა ტკბილო.
ლოიდი გავაგრძელეთ.
როჯერი აშკარად ხმები მესმოდა.
ვიკი რა ხმები, აბა ხმები?
როჯერი ვიღაცის ხმა მესმოდა.
ვიკი მოგესმა. არაფერია. ხომ ხედავ.
როჯერი აშკარად დავინახე აი ამ კარის სახელური ტრიალებდა. მისის კლაკეტი იყო?
ვიკი ნახე თევზის კონსერვიც გაუხსნია ჩვენთვის.
როჯერი შენ ნუ ჩახვალ, მე ავიღებ, მისის კლაკეტმა არ დაგინახოს.
კლაკეტი აქაც თევზის კონსერვია, იქაც თევზის კონსერვია. ა, თქვენა ხართ, ათვალიერებთ?
როჯერი დავკარგე კიდევ რაღაც რაღაცეები სანახავი.
კლაკეტი კარადაში?
როჯერი არა, აქ ხომ თეთრეულია მისის ბლაკეტ.
კლაკეტი მისის კლაკეტ.
როჯერი მისის კლაკეტ, ამ სახლში ჩვენს გარდა არის ვინმე?
კლაკეტი ვინ? როგორ გეკადრებათ, კაცი შვილი არ არის.
როჯერი -- არა მე მომეჩვენა, რომ რაღაც ხმები იყო.
ფილიპი რა უბედურებაა.
როჯერი რა ბრძანეთ?
კლაკეტი რა უბედურებაა-მეთქი.
როჯერი ეგერ გაიგე?
კლაკეტი რა უბედურებაა-მეთქი კაბინეტის კარი ღია დამრჩენია-თქო.
ფლავია ამ სახლში არც ერთი კარი არ იკეტება.
ფილიპი უკანასკნელი გაფრთხილება. მიღებული იქნება უმკაცრესი ზომები, ყადაღა საბანკო ანგარიშზე, უძრავი ქონების ჩამორთმევა.
კლაკეტი უძრავ ქონებაზე გამახსენდა, ერთი ქალი იყო მოსული ძალიან დაინტერესდა, მე უფლება მივეცი სახლი ენახა.
ფილიპი -- რაც უნდა ის გააკეთონ, ოღონდ არ უთხრათ, რომ აქ ვართ.
კლაკეტი თევზის კონსერვი მოგიტანეთ, სად დავდე? არა, აშკარად გავხსენი, ხელ გამოვშტერდი.
ფილიპი თუ მე აქ არა ვარ, ე. ი. წერილიც არ მიმიღია, რადგან ესპანეთში ვარ, რახან არ მიმიღია, ე. ი. არც წამიკითხავს, და რახან არ წამიკითხავს ე. ი. არც ვიცი რა წერია, არ ცოდნა არ ცოდვაა., ხოლო რახან არც მიმიღია და არც წამიკითხავს ე. ი. არ გამიხსნია, დასაწყებელია.
ფლავია ეს კაბა როდის ვიყიდე, ხომ არ გახსოვს?
ფილიპი არა.
ფლავია ასეთი არც ვიყიდდი. შენ ხომ არ მაჩუქე?
ფილიპი მეტი საქმე არ მქონდა.
ფლავია არც ისე ცუდი არ არის.
ფილიპი მეტი საქმე არა გაქვს?
ფლავია სხვენში—წავიდე.
როჯერი კაბინეტის კარი ისევ ღიაა, რა ხდება ამ სახლში? კაკუნია, რა ხდება ამ კარადაში? შენ ხარ?
ვიკი შენ არ ჩამკეტე ამ სიბნელეში.
როჯერი მე ჩაგკეტე?

Forward გადმოწერა

ვიკი აბა ვინ?
როჯერი მე რა ვიცი. ასე შიშველი აქ ხომ არ იდგება.
ფილიპი საყვარელო. ეს ის წვეთია ერთ წამში ყველაფერს რომ აქვავებს?
ლოიდი სტოპ!
ფილიპი მისის კლაკეტმა [illegible] გაგვიმზადა.
ლოიდი გაჩერდით. ისევ პრობლემა გვაქვს.
ფრედი მარჯვენა თუ მარცხენა?
ბრუკი მარცხენა.
გარი მოდით, მოდით, მარცხენაა.
ყველა მარცხენა?
გარი ე. ი. აქედან რომ ჩამოვარდნილიყო, საით წავიდოდა?
ბრუკი ფეხი არ დააბიჯოთ.
ფრედი ხო, ფეხებთან ყურადღებით.
ლოიდი სპექტაკლის დროს, რომ იგივე მოხდეს, უნდა გაჩერდეთ და დილამდე უნდა ელოდოს მაყურებელი...
ბელინდა არა, სპექტაკლის დროს გააგრძელებს, აბა ხომ არ გაჩერდება.
ფრედი თუ ვერაფერს დაინახავს, როგორ გააგრძელებს?
ბრუკი არა, ლინზების გარეშე ვხედავ, მაგრამ... მაპატიეთ, რა მოხდა?
დოტი არაფერი, ფეხზე დააბიჯე ეტკინა.
ბელინდა ფრედი დაგეხმარო?
ფრედი მაპატიეთ.
ლოიდი აბას რაღა ჭირს?
ბელინდა ვერ იტანს ძალადობას, საკმარისია ჩხუბი დაინახოს, ან ვიღაცას ხელი მოტყდეს, იმ წუთში ცხვირიდან სისხლი მოსდის.
ლოიდი სად გაქანდა. რა დაემართა?
ბრუკი მაპატიეთ, ვიპოვე.
ბელინდა იპოვა.
დოტი სად იყო?
ბრუკი აქვე თვალში.
ბელინდა შენ გაიხარე.
ლოიდი მარცხენა თვალში?
ბრუკი მგონი შემოვარდა.
ბელინდა აბა სად წავიდოდა. ტიმი გენაცვალე, როგორა ხარ?
ტიმი ნორმალურად.
ლოიდი ძალიან კარგი. გაანთავისუფლეთ სცენა. მსუბუქ. დაჭრილებს, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება ევალებათ მძიმედ დაჭრილების საკაცით ევაკუაცია.
ბელინდა ფრედი, ჩემო კარგო, მიხვედი გონზე?
ფრედი ხომ იცი ჩემზე არ არის დამოკიდებული. აშკარად ფსიქო ანალიტიკოსი მჭირდება.
ლოიდი გავაგრძელოთ. ბოლოში უნდა გავფიქრეთ სისხლის ფასადაც რომ დავუჯერდეს. ფრედი ეს შენ არ გეხება. არავითარ შემთხვევაში არ გაჩერდეთ, ყოველგვარი კითხვების გარეშე, როგორც არის ისე გაიარეთ, ბრმად, ბრუკ, ეს შენ არ გეხება, ვიკის გასვლიდან, სელზდონი სად არის?
სელზდონი ლინზა კულისებში ხომ არ დაკარგე?
ლოიდი არა გმადლობთ, შენამდე კიდევ ხუთი 'გვერდია.
როჯერი ასე შიშველი აქ ხომ არ იდგება.

ფილიპი   საყვარელო, ეს ის წებოა ერთ წამში რომ აქვავებს ყველაფერს? მისის
   კლაკეტმა თევზი გაგვიმზადა.
როჯერი   სათბურა შენ ჩადე ლოგინში?
ვიკი   არა.
როჯერი   აბა ვინ?
ვიკი   მოჩვენება ხომ არ იქნება?
ფლავია   არ წვები?
როჯერი   რა თქვი?
ვიკი   არაფერი.
როჯერი   ჯერ სახელური, მერე სათბურა, რატომ მაშინებ? თევზს რა უქენი?
   დამელოდე.
ვიკი -- იცი, ამბობენ ძველ სახლებში მოჩვენებები ცხოვრობენ.
როჯერი   რომელ საუკუნეში ცხოვრობ?
ვიკი   რა მოხდა?
როჯერი   თევზი გაქრა.
ვიკი   ხომ გამბობ რაღაც ხდება-მეთქი.
როჯერი   აქ დადე თუ იქ?
ვიკი   ჩანთა!
როჯერი   ეტყობა მისის კლაკეტმა უკან წაიღო, რა იყო, რა მოხდა?
ვიკი   ჩანთა.
როჯერი   ჩანთა?
ვიკი   ხო, ჩანთა, ჩანთა.
როჯერი   რა ჩანთა?
ვიკი   იყო და აღარ არის.
როჯერი   აღარ არის?
ვიკი   ხო, ჩანთა, ჩანთა, აქ იყო დაეხლა აღარ არის.
როჯერი   საძინებელშია.
ვიკი   იქ არ შეხვედე.
როჯერი   აღარც საქაღალდეა.
ვიკი   საქაღალდე?
როჯერი   არც ჩანთაა, არც საქაღალდე.
ვიკი   მთელი საბუთები იქ მქონდა, ურჩ გადამხდელთა სია.
როჯერი   რაღაცა ხდება, მისის კლაკეტი სად არის? შენ აქ დამელოდე.
ვიკი   არ დამტოვო.
როჯერი   მაშინ ჩაიცვი.
ვიკი   საძინებელში ცოცხალი თავით არ შევალ.
როჯერი   კარგი გამოგიტან კაბას. არ არის, ნუ ავყვებით პანიკას, ყველაფერს
   უნდა ჰქონდეს ლოგიკური ახსნა, ეხლავე მისის კლაკეტს ვკითხავ, შენ აქ
   დარჩი, არა, ასე შიშველი ხომ არ იდგები, კაბინეტში შედი.
ვიკი   არ მომეკაროთ! როჯერ!
ფილიპი   გავეცნობა, მაგრამ...
ფლავია   არ დავწყოთ?
ფილიპი   გავეცნობა, მაგრამ კონვერტს მივეწებე და თევზსაც.
ფლავია   შედი აბაზანაში და იქ ბოთლი დგას, აწერია გამხსნელი, წებოს კი
   არა ყველაფერს გახსნის.
ფილიპი   ეს პრობლემაც მაკლდა.
ლიონი   ხელზედ შენი გამოსვლაა.
ბელინდა   მოდის, მოდის.



Forward გადმოწერა

ლოიდი აუხსენით, მისი ხელი ფრედის გასვლამდე უნდა გამოჩნდეს ფანჯარაში, და აი ისიც.

ქურდი ან ვისთსები დააყენონ, ან სიგნალიზეცია, ქურდებს მაინც არ ეშინიათ? სასამართლოში უნდა უჩივლო განზრახ ცდუნებაში შეყვანისთვის.

ლოიდი მოდი ერთხელმაც დავიწყოთ თავიდან.

ქურდი გაგიჟდება კაცი. ჩემი კვალიფიკაციის მქონე, რითი ვერთობი, რა დრო იყო, ვძარცვავდი ბანკებს, ვტეხდი სეიფებს, ოქროს ზოდებით გატენილს, ახლა კი...

ლოიდი გაჩერდი სელზდონ, გაჩერდი.

ქურდი სახლის პატრონები ესპანეთში არიან, ბებერმა მოსამსახურემ თავისი პირით მითხრა.

პოპი ლოიდი ითხოვს, რომ გაჩერდეთ.

ქურდი თვითონაც არ არის, დავინახე მა წუთში გავარდა, რატომღაც შიშველი.

ბელინდა გაჩერდი სელზდონ, საყვარელო.

ლოიდი იმის დროს, მაირა გესი, იყო ასეთი ცნობილი პიანისტი, დაბომბვის დროსაც კი არ წყვეტდა დაკვრას.

სელზდონი რა, გავჩერდე?

პოპი გაჩერდი.

ბელინდა გაჩერდი.

ლოიდი მადლობთ ბელინდა, მადლობთ პოპი, არ დაგივიწყებთ.

სელზდონი მე ვიცნობდი მაირა გესს.

ლოიდი უსინდისო ვიყო ჩვენზე კარგად თუ არ ესმოდეს ყურში.

სელზდონი უკაცრავად ვერ გავიგე?

ლოიდი გთხოვთ სელზდონ, შენი გამოსვლიდან.

სელზდონ ხო, ხო, ერთ-ერთ კონცერტზე გავიცანი იმის დროს.

ლოიდი -- პოპი გვიშველე, ჩაიხვია.

სელზდონი არა, ჩაი ეხლა არ მინდა, მერე დავლევ.

ლოიდი სელზდონ, შენი გამოსვლიდან.

სელზდონი ა, თავიდან დავიწყო?

ლოიდი ხო, ხო, ოღონდ ცოტა ადრე შემოყავი ხელი, როგორც გუშინ, დაიწყე როგორც კი ფრედი კარს გააღებს, რა რეპლიკაა?

ფრედი ეს პრობლემაღა მაკლდა.

ლოიდი როგორც კი გაიგებ მაშინვე შემოყავი.

ფრედი ეს პრობლემაღა მაკლდა.

ლოიდი სელზდონ!

სელზდონი ერთი წინადადება მაქვს.

ლოიდი რა?

სელზდონი ხომ სულაც არ გამომჩნდე და, იქნებ ცოტათი ადრე შემოვყო ხელი?

ლოიდი რაო?

სელზდონი არ გესმის არა? ე. ი. რეპლიკას როგორც კი დაამთავრებს იმ წუთში შემოვყოფ ხელს.

ლოიდი ე. ი. ცოტა ადრე არა?

სელზდონი აი, ახე, თქვი რეპლიკა...

ფრედი ეს პრობლემაღა მაკლდა.

სელზდონი აი, აქ შემოვყოფ, მოგწონს?

ლოიდი კარგია, თანახმა ვარ, მე მგონი ყველას ერთად გვაშაყარებს.

ფილიპი ეს პრობლემაღა მაკლდა.

Ent

Forward გადმოწერა

როჯერი წასულია.
ფილიპი მივდივარ.
როჯერი სდექ.
ფილიპი არ შემიძლია.
როჯერი მიპასუხე.
ფილიპი მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით.
როჯერი მოიცათ. თქვენ ქურდი ხართ?
ფილიპი აბა რა, მიხარული ვარ თქვენი გაცნობით. თევზს ხომ არ ინებებდით?
როჯერი არა, თქვენ ქურდი არა ხართ, თქვენ მანიაკი ხართ? სექსუალური? რა უქენით ვიკის? სად არის? არ გაინძრეთ. პოლიცია, ვიღაც უცხო შემოიჭრა ჩემს სახლში, უფრო სწორად ვიღაც შეიჭრა ვიღაცის სახლში, მანიაკია, მანიაკი. დაიკარგა ახალგაზრდა ქალი.
ვიკი ბაღშია, ბაღში.
როჯერი უკაცრავად ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. როგორა ხარ?
ვიკი შემნიშნა და გავექეცი.
როჯერი შენიშნა, მაგრამ გამოექცა, ვის? ქურდს და მანიაკს. ჩვენი ნივთებიც გაქრა.
ვიკი ნივთები ადგილზეა.
როჯერი ნივთები ადგილზე ყოფილა. აი, თევზის კონსერვი კი ნამდვილად დაიკარგა. არა! თევზის კონსერვიც ვიპოვეთ.
ვიკი შენ რა პოლიციას ელაპარაკები?! გინდა რომ აქ დაგვადგნენ?
როჯერი მერე რა?
ვიკი შიშველი ვარ.
როჯერი რას ვამბობდი? ხო. ვამბობდი რომ შემეშალა, ვითომ არაფერი მოიქვამს, კარგად ბრძანდებოდეთ. მე მეგონა მოკლეს.
ვიკი იმ კაცს ვიცნობ.
როჯერი ვის?
ვიკი იმ კაცს, ეზოში რომ დარბოდა, რამდენი ხანია დასდევს მთელს დეპარტამენტი.
როჯერი იმ სექსუალურ მანიაკს?
ვიკი ურჩი გადამწყდარია, მაგრამ ასეთ ფორმაში ხომ არ დავაკავებ.
როჯერი ხო, მართლა მოიცვი რამე.
ვიკი რა მოვიცვა?
როჯერი წამოდი რამე ვიპოვოთ, თევზის კონსერვი არ დაგავიწყდეს.
ქურდი ნეტა სადა აქვთ საპირფარეშოში. არა. მართლა დავბერდი.
როჯერი დროზე გამოდი.
ქურდი ვიღაცაა, ასე ვიცოდი. ფრთხილად.
ფილიპი მიშველეთ!
როჯერი ეს მოიცვი. მერე რამეს ვიპოვით.
ვიკი ვიღაცაა. ის არის.
ფლავია რამდენიხანია ვეძებდი ამ ჩარდახშია, გახსოვს, შენ რომ მაჩუქე. ვინა ხართ?
ვიკი მისი ცოლი.
ფილიპი უკაცრავად, ადგეთ თქვენია. საყვარელო, სად იყავი. ნახე რა დღეში ვარ. შენ რა გგონია? არა, უბრალოდ ვუხსნიდი, რომ საგადასახადო დეპარტამენტს არა აქვს უფლება და თან თითები მიწყვება.
როჯერი ვეძებ, ვეძებ, არ არის. ეს შენი კაბა და რა ვქნა.
ქურდი ონკანიც მოოქროვილი აქვთ. მშვენიერია. ვაიმე დედავ ჩემო.

Forward გადმოწერა

ფილიპი ვინა ხართ?
ქურდი მე? სანტექნიკოსი, სანტექნიკოსითა დეპარტამენტიდან.
ფილიპი დეპარტამენტიდან? თქვენც?
როჯერი ღმერთო, რა დღეში ვარ.
ფილიპი ბევრნი არიან.
როჯერი რა ხდება ამ სახლში. ზარდახშები ფრენენ. ჩალცვი უკვე?
ფილიპი მიშველე ძვირფასო.
როჯერი მამაკაცი.
ქურდი ონკანებს ვამოწმებდი.
როჯერი აქა ხართ? სად არის? რა გაუკეთეთ, რა უქენით?
ქურდი მარტო თავი მოვაძვრე.
როჯერი ვიკი, ვიკი.
ქურდი დროზე გაეცალო აქაურობას.
როჯერი არ გაინძრეთ, ახლავე პოლიციას დავუძახებ. შეიხ, თქვენ? ოთახისთვის გელოდებოდით, როგორი წარმტაცი ცოლი გყავთ, ახლავე დაგათვალიერებინებთ სახლს.
ფლავია ორივეს მოვკლავ.
როჯერი არ ღირს, პირველი სართულიდან დავიწყოთ, ეს ქალბატონი თქვენ არ გეხებათ, ეს კი მოსამსახურეა. აი, თევზიც მოგვართვეს.
კლაკეტი არა, ბატონო, ეს ჩემი თევზია, გეყოფათ რაც ჭამეთ.
როჯერი ხუმრობს.
ფლავია მისის კლაკეტ. რა ხდება?
კლაკეტი ეს ჩვენი შეიხი ზეწრები არ არის? ვაქურდავენ.
როჯერი შენ ხარ?
ფლავია ა, ეს თქვენ ხართ?
ქურდი ჩემო გოგონა.
ვიკი მამა.
ქურდი ჩემო გოგონა, რატომ მიმატოვე, რატომ წახვედი სახლიდან?
ვიკი მამა აქ რა გინდა?
ქურდი და შენ? თან ასეთ ფორმაში?
ვიკი ურჩ გადამხდელთა საა მიმაქვს საგადასახადო დეპარტამენტში.
ფლავია სად არის მეორე ზეწარი?
შეიხი მშვენიერი სახლია. ვფიქრობ...
ყველა თქვენ?
ფლავია ეს თქვენ ხართ?
ფრედი ლოიდ, ჩამცმელი მჭირდება, შარვლის შეკვრას ვერ ვასწრებ, შეხედე.
ლოიდი ტიმი დაგეხმარება. სად არის?
ტიმი მეძახდით?
ლოიდი ტიმი სცენაზეა, ვერ დაგეხმარება.
ტიმი ჩამეძინა. გასაკეთებელია რამე?
ლოიდი არაფერია. უშენოდ მოვიფიქრებთ მერე. მოდი ფრედი შენი გამოსვლიდან გავაგრძელოთ, რა იყო მოხდა კიდევ რამე?
ფრედი მაპატიე, ლოიდ. მაგრამ რახან გავჩერდით, იქნებ სიუჟეტში...
ლოიდი ვიცი.
ფრედი მაპატიე, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს, მართალია სისულელეა, მაგრამ...
ლოიდი მთელი ჩემი ცოდნა დრამის თეორიაში შენს განკარგულებაშია.
ფილიპი -- რატომ უნდა იყოს შეიხი ფილიპის ორეული.

Forward გადმოწერა

გარი -- იმიტომ, რომ როდესაც შეიხი შემოდის ყველას უნდა ეგონოს, რომ ვესმის რისი თქმაც მინდა, და ამაზეა აგებული ყველაფერი.

ფრედი ამას ვხვდები, მაგრამ...

ბელინდა ფრედი ძვირფასო, ამაზეა აგებული მთელი პიესა შემდეგ.

ფრედი ვიცი, ე. ი. უბრალო დამთხვევაა?

ლოიდი ჰო, უბრალო დამთხვევაა, და თუ გავიხსენებთ, რომ არსებობდა ორიგინალი ვარიანტი პიესისა, რომელიც დაკარგულია, იქ ავტორი გვიყვება, რომ ფილიპის მამა ბევრს მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთში...

ფრედი როგორი ჩახვეული სიუჟეტი ქონია.

ლოიდი ვიცოდი, რომ მოგეწონებოდა.

ფრედი მაყურებლამდე თუ მივა?

ლოიდი უნდა მივიტანოთ, აბა რისთვის ვართ ჩვენ? ჟესტით, პლასტიკით, გამოხედვით, შეფასებით. ძალიან გთხოვთ ყველამ ზუსტად შეაფასეთ შეიხის შემოსვლა.

ფრედი მადლობთ ლოიდ, გასაგებია.

ლოიდი მიმაყვანინეთ აქტი ბოლომდე. წარმოიდგინეთ როგორი იქნება ეს სპექტაკლი მეათე ან მეთხუთმეტე წარმოდგენაზე. მაყურებელზე, რომ დაიწყებთ თამაშს. ვიწყებთ: „სად არის ჩემი მეორე ზეწარი? „

ფლავია სად არის ჩემი მეორე ზეწარი?

შეიხი მშვენიერი სახლია, ქერაობ.

ყველა თქვენ?

ფლავია ეს თქვენ ხართ?

შეიხი რა თქმა უნდა მე, სხვა ვინ უნდა იყოს?

როჯერი ქურდი.

შეიხი რაო, რაო?

კლაკეტი არ გაუშვათ, მთელი თეთრეული მოიპარა.

ვიკი დამიბრუნეთ ჩემი ღამის პერანგი.

ფლავია ხელავ რა მიქნა?

ქურდი რაო, რაო? რას უმღერებდი ჩემს პატარა გოგონას? შენ კი ვიკი ერთ რამეს გეტყვი...

ბრუკი მაპატიეთ.

ლოიდი შენი რეპლიკაა, ძალი, რა, ორი წინადადება დაგვრჩა.

ბრუკი მართალია, სულ ამომივარდა თავიდან.

ბელინდა -- „რას მეტყვი მამა„

ბრუკი რეპლიკა ვიცი, უბრალოდ სულ ამომივარდა თავიდან, რომ გამერკვია...

ლოიდი რა, რა გაგერკვია?

ბრუკი ვერ ვხვდები...

დოთი რას ვერ ხვდები „რას მეტყვი მამა„-ს ვერ ხვდები?

სელსდონი ნუ ღელავთ, მე აგიხსნი ე. ი. მე ვამბობ: „შენ კი ერთ რამესგეტყვი ვიკი„ შენ კი მპასუხობ: „რას მეტყვი მამა„

ბრუკი მე არ მესმის, რატომ გაქვს შეიხი ფილიპს?

ლოიდი პოპი! ტექსტი მოიტანეთ, გაშალეთ პირველი მოქმედების ბოლო, არის თუ არა იქ ვიკის ტექსტი „მე არ მესმის, რატომ გაქვს შეიხი ფილიპს?„ პოპი, ზუსტად მითხარი, რა ტექსტი წერია იქ?

პოპი აქ წერია...

ლოიდი -- „რას მეტყვი მამა„ არა? ე. ი. შენი რეპლიკაა ძვირფასო ბრუკ: „რას მეტყვი მამა... რა საკვირველია.“ შენ კარგად გაქვს შესწავლილი სტანისლავსკი, ედმუნდ კინი, ელენ ტერი და პიტერ ბრუკის სამსახიობო

Forward გადმოწერა

სისტემები, შენ გჭირდება ქვეტექსტი, გამჭოლი მოქმედება და ზეამოცანა „რას მეტყვი მამა„-ს სათქმელად, მაგრამ ახლა უკვე ღამის პირველი საათია და ჩვენ რომ არ დავეცეთ აქ და არ მოვკვდეთ დაღლილობისგან გვჭირდება გავიგნოთ შენგან „რას მეტყვი მამა„ და მეტი არაფერი, ვინმე რამეს შეუძლებელს ხომ არ გთხოვს, თქვი „რას მეტყვი მამა„ „ რას მეტყვი მამა„

ბრუკი რას მეტყვი მამა.

ლოიდი სად გადიხარ, პოპი აქ გვაქვს რემარკა გადისო? ამ რეპლიკაზე ვინმე გადის სადმე? პოპი, გაეკიდე, მიხედე, ლინზები არ გადმოყაროს.

ფრედი ღმერთო, ღმერთო, ისევ.

ხელზდონი ზედმეტი მოუვიდა.

გარი მე ვფიქრე, მაგრამ მერე მივხვდი... ხომ ხვდებით რისი თქმაც მინდა, პოპას რაღაც ერჩოდა.

დოწი სულ შენზე ტეხავს ჯოხს.

ფრედი ჩემი ბრალია.

გარი ტყუილად მისდით შარი, მე ვფიქრობ რომ...

დოწი რადა ბრუკს ეცა?

ბელინდა მე კი ვიხალისე.

გარი იხალისე?

ბელინდა არაუშავს, დილამდე შერიგდებიან.

დოწი რისი თქმა გინდა, რომ ლოიდი და ბრუკი?

ბელინდა რა არ იცოდით?

სელზდონი ბრუკი და ლოიდი?

ბელინდა აბა რა, შაბათ-კვირა ერთად არ გაატარეს.

ფრედი ამიტომ იყო დეკორაცია, რომ არასწორედ დააყენეს?

ბელინდა მოდის.

ლოიდი ყველასთან ბოდიშს ვიხდი, არ ვიყავი მართალი.

პოპი გული მერევა.

ლოიდი რა თქვა?

დოწი არაფერი.

ლოიდი ღმერთო ჩემო.

გარი თქვენც იგივეს ფიქრობთ?

სელზდონი რა ისაც?

ბელინდა საინტერესოა, არ ვიცოდი.

ფრედი ღმერთო ჩემო.

ბელინდა როგორ გამომრჩა?

ბრუკი მგონი გრძნობას ვკარგავ.

დოწი დაჯექი და საფეთქლები დაიზილე.

სელზდონი არ იცოდა?

ბელინდა გაჩუმდი.

სელზდონი არ იცოდა?

დოწი სულ ორი კვირა არ არის რაც რეპეტიციები გვაქვს.

ფრედი რა უნდა ქნას?

ბელინდა მოდის, ჩუმად.

დოწი მოდის, როგორ არის?

ლოიდი ეტყობა რაღაცამ აწყინა.

გარი ბრუკსაც, რაღაც ნაწყენი გამომეტყველება აქვს.

ლოიდი მეც რაღაც ვერა ვარ კარგად, მგონი უნდა...

Forward გადმოწერა

ბელინდა გული გერევა? შენც?
გარი გრძნობას კარგად?
ლოიდი არა, შესვენება უნდა გამოვაცხადო.
დოწი ორი რეპლიკაღა დაგვრჩა.
ლოიდი ბოლო ორი რეპლიკა ტექნიკურად გავიაროთ.
სელზდონი რეპლიკა? კი ბატონო: შენ კი ვიკი ერთ რამეს გეტყვი.
ვიკი რას მეტყვი მამა?
სელზდონი როდესაც ირგვლივ ქაოსი, გაუგებრობა და არეულობაა, გამოსავალი, თევზის კონსერვშია, გახსენი, მიირთვი და ისიამოვნე.





II მოქმედება:

პიპი ყურადღება! პირველი სცენის მონაწილეებს ვთხოვთ სცენაზე, ვიმეორებთ: პირველი სცენის მონაწილეებს ვთხოვთ სცენაზე, ხუთ წუთში ვიწყებთ.

წიმი ტყუილად აცხადებ, მაინც არ თამაშობს.

პიპი დოწი პროფესიონალია, აგერ ნახავ, დაწყნარდება, თავს ხელში აიყვანს და ხუთ წუთში სცენაზე იქნება.

წიმი ასეთი ისტერიკის შემდეგ?

პიპი შენ დოწის არ იცნობ.

წიმი ამ ერთი თვის გასტროლების მანძილზე რაღა არ მოხდა, მაგრამ ასეთი არა...

პიპი აბა, თქვას მაინც თამაშობს თუ არა.

წიმი კარსაც კი არ აღებს, და რომ არ თამაშობს?

პიპი რას ლაპარაკობ.

წიმი არა დაუშვათ არ თამაშობს?

პიპი ნუ ითარსები, თამაშობს.

წიმი არა, მეც მინდა, რომ თამაშობს, მაგრამ...

პიპი წავალ კიდევ ერთხელ ვცდი იქნებ კარი გამიღოს.

~~ლოიდი პიპი აქ არის?~~

წიმი აქ საიდან? დღეს ჩამოხვედი?

ლოიდი არ ჩამოვსულვარ, არა, და საერთოდ, აქ არა ვარ.

წიმი როგორც მეტყვი. ე. ი. არ ჩამოსულხარ, მაგრამ კარგია რომ ჩამოხვედი.

ლოიდი არ ჩამოვსულვარ.

წიმი დოწი და ვარი...

ლოიდი .არავინ არ უნდა გაიგოს, რომ აქ ვარ, გაიგე?

წიმი გავიგე. მაგრამ ~~დოწი და ვარი~~...

ლოიდი სადმე შემინახე.

წიმი აქ ასეთი ამბავი დატრიალდა... 3.

ლოიდი თეატრის პირდაპირ, ყვავილების მაღაზიიდან ერთი თაიგული გადმოიტანე და თხოვე, რომ ლამაზად შეფუთონ.

წიმი გავიგე. ~~[illegible]~~, საგრიმიოროშია და კარს არავის არ უღებს...

ლოიდი მოაგვარია პიპიმ არაფრიანახოს.

წიმი გავიგე. კარი ჩაკეტილი აქვს და კაკუნზეც არ გვპასუხობს.

ლოიდი ~~[illegible]~~? ნუთის ოც წუთზე და მეორე იწყება. შვიდის ნახევარზე. ამ შუალედში ბრუკის საგრიმიოროში ვიქნები

Forward გადმოწერა

23

და არავი შეჰვაწუხოს. ლონდონში რვის ნახევრიან მატარებლით დავბრუნდები.

წამი ლოიდ, შეიძლება ლილის წარმოდგენა საერთოდ ჩაიშალოს.

ლოიდი რასთან დაკავშირებით გაიფიქრე?

წამი კაცმა არ იცის.

ლოიდი გამოიძახეთ მსახიობები სცენაზე?

წამი კი.

ლოიდი ხუთ წუთში რას მოასწრებ. შეუძლებელია.

წამი ადრეც უჩხუბია გარისთან, მაგრამ ასე?

ლოიდი ვის ბრუკს?

წამი არა დოწის.

ლოიდი ა, დოწის.

წამი წინა კვირას ისე დაერჩენ ერთმანეთს...

ლოიდი ხო, ვიცი, ვიცი.

წამი აქაურმა ჟურნალისტმა — ყანწმაზე — დაპატიჟა. — გარი კიდევ გაგიჟდა. ყვირილდა: — მოვკლავ მე მაგას...

ლოიდი — იმაზე ყვები ჟურნალისტი, რომ მოკლას? ტყუილად ნერვიულობ. თამაშებს აბა რას იზავს. ფული აქვს ჩადებული ამ სპექტაკლში.

წამი არა, ჯერ კი წარმოიდგენია რა ხდებოდა გუშინ. ღამის ორ საათზე გლაფ კარს მინგრევს. კარი გავაღე. გარი, არ იცი დოწი სად არის, სახლში არ მოსულაო?

ლოიდი წამ დამანებე თავი. ჩემი პრობლემებიც მყოფნის. ხომ არ გიყვები, რომ ყოველი რეპეტიციის მერე მერეკავს პერცოვ ბუკინგემა და მთელი საათი ჩივის, რომ მისი მონოლოგის დროს გლოსტერი კამფეტს წუწნის. პერცოვ კლერენსს გადაღებები აქვს რეკლამაში. ხოლო თვით რიჩარდ III-ს რადიკულიტის მწვავე შეტევები აქვს. პლიუს კიდევ ბრუკი მირეკავს, მაწყობს ისტერიკას, რომ უბედურია, დეპრესია აქვს და უარს ამბობს როლზე. მე კიდევ იმის დრო არა მაქვს, რომ ვინმეთი შევცვალო. კიდევ კარგი ლედი რიჩარდ III-ის კოსტიუმი არ უნდა, ლედი ანას კი სასამართლო აქვს. ქმარი უყურებს ... ნოდა აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ დოწის და გარის პრობლემები გავარჩიო. მინდა ორი საათი ბრუკთან გავატარო, ცოტას დავკლევო. გაუმხიარულდებით. შეიძლება უშველოს კიდეც.

წამი გავიგე ლოიდ, მაგრამ...

ლოიდი სპექტაკლის დაწყება გამოაცხადე?

~~წამი დაამაყოწყდა.~~

~~ლოიდი ... არ დაინახოს.~~

წამი ქალბატონებო და ბატონებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები. წარმოდგენას ხამ წუთში დავიწყებთ.

პოპი ეტყობა კაი ხანი ვერ დავიწყებთ.

წამი რაო?

პოპი არაფერი ბულინდა შეუშვა. სპექტაკლის დაწყებაც კი არ გამოუცხადებია. ეს რა ფულია?

წამი არაფერი.

პოპი ვისკი?

წამი რა ვისკი? საიდან?

~~პოპი ... ?~~

წამი პირდაპირ კულისებში დაუდგავს, დრო რომ არ დაკარგოს.

პოპი კაბის ჯიბეში შეჰგინახავ, იქ ვერ მიაგნებს. რაო?

Forward გადმოწერა

Mari



ბელინდა  კარიც კი არ გამიღო, ფრედის ვთხოვე, ეს რა არის?
პოპი  წარმოგიდგენია, აი, აქ ვიპოვე, რაო?
ბელინდა  იქნებ კიდევ ვცადო, წარმოგიდგენია, პირდაპირ კულისებში მალავს.
ფრედი  ეს გარი გამავიჟებს ყველილით, დოწიკგან მეც დამცოვა, ჩემგან რაღა უნდა, ვერაფერი ვერ გავიგე და საერთოდ, როცა გარი მელაპარაკება, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც გამომრჩა, ზუსტად არ ვიცი მაგრამ მგონი მოკვლას მიპირებს.
ბელინდა  შენ? რას ვერჩის?
ფრედი  არ ვიცი მაგრამ არ შევეკამათე, უფრო არ გაგიჟდეს-მეთქი. ეგ ურევს-ხოლმე?
ბელინდა  ურევს კი არა საერთოდ ჭკუაზე როგორ არის იმკვირს.
ფრედი  სპექტაკლის თამაშს როგორ აპირებს?
წიმი  რას ქვია აპირებს თუ არა, გარიც?
ბელინდა  ისე მართალია, გარიმაც, რომ არ ითამაშოს მერე რა ვქნათ? დოწის პოპი მაინც შეცვლიდა, მაგრამ შენ გარის ვერ შეცვლი, იმიტომ, რომ შენ და გარი ერთად ხართ სცენაზე.
წიმი  აბა რა ვქნათ?
ბელინდა  ეს რა ფულია?
წიმი  რა ფული? ეს, ისე, უბრალოდ...
ფრედი  ამ დოწისას ვერაფერს ვერ გაუგებ, ხან ისეა, ხან ასე, გუშინ მთელი საღამო თითქოს ნორმალურად იყო.
ბელინდა  გუშინ საღამოს?
ფრედი  ჰო, გუშინ სპექტაკლის მერე დამიძახა, წამოდი სადმე კაფეში დავსხდეთო.
ბელინდა  ე. ი. შენთან ერთად იყო?!
ფრედი  და რა იყო? მშვენიერი საღამო იყო.
ბელინდა  შენც დაგადგა თვალი? მოვკლავ.
ფრედი  არა, რა სისულელეა, მერე ღამის სამ საათამდე ჩემთან ნომერში ვისხედით, ჩაის ვსვამდით.
პოპი  კარგი ამბავი უნდა გითხრათ, სელიზლონი დაიკარგა.
ბელინდა  ამის ბრალი ყოფილა ყველაფერი, რა სელიზლონი არ არის?
პოპი  არსად არ არის.
ბელინდა  დავიღუპეთ.
პოპი  დაწყების გამოცხადება დამავიწყდა.
ბელინდა  მიდი გამოაცხადე, მე სელიზლონს მოვძებნი.
ფრედი  მე რაღა გავაკეთო?
ბელინდა  არაფერი, შენ შენი გასაკეთებელი უკვე გააკეთე.
პოპი  ქალბატონებო და ბატონებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები, წარმოდგენას სამ წუთში დავიწყებთ. მადლობთ, რატომ შეწუხდი, რა ლამაზი ყვავილებია.
წიმი  არა, ეს უბრალოდ, ისე... იცი...
პოპი  რატომ შეწუხდი, დიდი მადლობა, რა ლამაზია არა ფრედი?
ფრედი  არაჩვეულებრივია.
პოპი  სელიზლონი დაიკარგა, წავალ ბარში მოვძებნი, დამიჯერე.
წიმი  მე მექნება, კი, სპექტაკლის დაწყების გამოცხადება დამავიწყდა, გამომართვი.
ფრედი  მე მგონი პოპიმ უკვე გამოაცხადა.

Forward გადმოწერა

ტიმი — რამდენ წუთში ვიწყებთო? ორ წუთში? ვიტყვი, რომ ერთ წუთში ვიწყებთ: ქალბატონებო და ბატონებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები წარმოდგენას ერთ წუთში დავიწყებთ.

ფრედი — მე მგონი პოპიმ სამი წუთი გამოაცხადა.

ტიმი — სამი? ეს მე გამოვაცხადე სამი წუთი, გამომართვა. ქალბატონებო და ბატონებო, წარმოდგენას ორ წუთში დავიწყებთ.

ფრედი — როგორ მიდის საქმე?

ბელინდა — ნახეთ რა ვიპოვე სახანძრო სტენდის უკან.

ფრედი — ცუდის ნიშანია.

ტიმი — მე მომეცი.

ბელინდა — აიღე და ისე დამალე, რომ ვერავინ ვერ იპოვოს.

პოპი — ბარშიც არ არის.

ტიმი — ფოიეში ნახე?

ბელინდა — ყველგან ნახე.

ტიმი — კარგად მოძებნე?

პოპი — ქალბატონებო დაბატონებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები წარმოდგენას ორ წუთში დავიწყებთ.

ფრედი — ტიმმა ორი წუთი გამოაცხადა უკვე.

პოპი — ქალბატონებო და ბატონებო, წარმოდგენას ერთ წუთში დავიწყებთ.

ბელინდა — ახლა რაღა ვქნათ?

ლოიდი — გამაგებინეთ რა ხდება?

ბელინდა — ლოიდ?

ფრედი — ღმერთო ჩემო.

პოპი — არ ვიცოდი აქ თუ იყავი?

ლოიდი — მე აქ არა ვარ, ლონდონში ვარ, მაგრამ არ შემიძლია ვიჯდე იქ და ვისმინო თქვენი ორი წუთი, სამი წუთი.

ბელინდა — ქვემოთ ისეთი საშინელება ხდება...

ლოიდი — საშინელება დარბაზში ხდება, პოპი, ჩემო კარგო, ეს დილის წარმოდგენაა. დარბაზში ძირითადად მოხუცები და პენსიონერები სხედან, გაცხადებთ, რომ წარმოდგენა სამ წუთში იწყება და ყველა მარბის ტუალეტში, უცებ ვიღაც აცხადებს, რომ წარმოდგენა ერთ წუთში იწყება დაყველა გიჟივით უკან მორბის, საით მიექანებიან ღმერთმა იცის, ვერ გიხსნით არა?

პოპი — ლოიდ, შენთან სერიოზული საქმე მაქვს...

ლოიდი — მხოლოდ ერთი რამე მითხარი, ძვირფასო.

პოპი — ვერაფრით ვერ დავურეკე...

ლოიდი — ბრუკი ასრულებს თამაშს?

ბელინდა — და რა მოხდა?

ბრუკი — რა თქვით?

ფრედი — როგორ ხარ?

ბრუკი — ნორმალურად.

ლოიდი — როგორც ხედავთ ყველაფერი წესრიგშია.

ბრუკი — ლოიდ!

ლოიდი — ეს საიდან?

ბელინდა — კიდევ ერთი ბოთლი.

ბრუკი — რაა? იატაკზე ვიწექი . . .

ლოიდი — იატაკზე?

ბელინდა — ყოველთვის ასე ემართება სცენაზე გასვლის წინ.

Forward გადმოწერა

ლოიდი გასაგებია.
ბრუკი რადიატორის იქან ვნახე.
ბელინდა . გაგიჟდება ყველგან მალავს.
ფრედი ისე დამალავს კაციშვილი ვერ იპოვის.
ლოიდი ბრუკის საგრიმიოროში შეიტანე. ეს საიდან?
ფრედი უკაცრავად.
პოპი ეს წიმმა მაჩუქა.
ლოიდი წიმმა შენ გაჩუქა?
პოპი რაღაც მინდა გითხრა...
ლოიდი კიდევ რა უნდა მითხრა?
ბელინდა დოწი არ აპირებს თამაშს.
ლოიდი არ მაინტერესებს.
ფრედი და არც გარი.
ლოიდი დამანებეთ თავი
ბელინდა სელზდონიც...
ლოიდი ამ სპექტაკლის არაფერი არ ეშველება, გული მერევა, ფუფ... ვერ გიყურებთ, მე წავალ, დავისვენებ და თქვენ რაც გინდათ ის ქენით, ხო, სხვათაშორის თუ გახსოვთ დაწყებამდე ერთი წუთი იყო გამოცხადებული.
ფრედი ამას რაღა დაემართა?
ბელინდა ხომ გაიგე, ასე ემზადება. პირველად ხედავ? მზად ხარ?
ბრუკი კი. მაგრამ ქვემოთ ისეთი ყვირილი და ხმაურია, რომ მიჭირს მობილიზება.
ფრედი თუ არ შეგიძლია ნუ ითამაშებ. მაინც დღის სპექტაკლია, პოპი შეგცვლის, ყოველთვის მზადაა. არა ,პოპი?
პოპი ვნახავ ქვემოთ რა ხდება.
ბელინდა ფრედი, ვინც არ გიცნობს...
ფრედი რა ვთქვი ასეთი?
სელზდონი წიმა სად არის?
ბელინდა ჩემო საყვარელო, სად იყავი?
ფრედი ნორმალურად ხარ? ღმერთო.
ბელინდა სად არ გეძებდით.
სელზდონი ხო, ხო, ყველგან ვეძებდი დარბაზში, ბარში, არსად არ არის.
ბელინდა ის კიდევ ქვემოთ ვეძებდა.
სელზდონი ქვემოთ ისეთი ამბავი ხდება, ვიფიქრე წიმი უნდა გავაფრთხილო-მეთქი, სად არ ვეძებე, სულ გავოფლიანდი.
ბელინდა წიმმა ყველაფერი იცის.
სელზდონი სულ ბიჭო, ბიჭოს ეძახდა, შენც მოგკლავ და შენს ტუძასაცო.
ფრედი ტუძა? ტუძი ვინ არის?
ბელინდა ვერ ხვდები? ფრედი, ტუძი კი არა, ძვირფასო.
სელზდონი არა უფრო ნეძი, მოკლედ ორიდან ერთია...
პოპი მგონი გამოჩნდნენ.
ბელინდა გამოჩნდნენ.
ფრედი გამოჩნდნენ.
სელზდონი ვიცი, ხოდა, რომ...
პოპი ა, აქ ხართ? ბატონებო და ქალბატონებო. დაიკავეთ თქვენი ადგილები. ვიწყებთ წარმოდგენას.
წიმა მოდიან.
ბელინდა ჩვენ კიდევ სელზდონი ვიპოვეთ.

Forward გადმოწერა

ტიმი აქ საიდან გაჩნდი?
სელზდონი როგორ?
ტიმი ბატონებო და ქალბატონებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები, ვიწყებთ სპექტაკლს.
პოპი უკვე გამოვაცხადე.
ტიმი ერთი, ერთი...
ბელინდა საბრალო ლოიდი. ალბათ გიჟს გავს.
გარი ჩემო კარგო.
სელზდონი აი, სულ ბოზი, ბოზოს...
ფრედი გარი დაწყნარდი?
სელზდონი რაო, რა თქვა?
ბელინდა არაფერი ისეთი, ჩემო კარგო.
სელზდონი ბოზოო, გაეთრიე შე ბოზოო, ნელიხო კიდევ ძირში წოვაჭრით, გიჟი გიჟი...
ბელინდა დოტი, არაფერია, დაწყნარდი.
სელზდონი გამოჩნდა ბოლოს და ბოლოს, მიდი შენი გასვლაა.
ფრედი ნორმალურად ხარ?
სელზდონი კარგად არის, კარგად.
ბელინდა დაანებეთ თავი.
ტიმი მზად ხართ?
სელზდონი არა, არა, ნეძის კი არა ედის წავაჭრი ძირშიო. გიჟი. გიჟი...
ბელინდა ჩუმად ძალიან გთხოვ.
პოპი ფარდა.
ფრედი ჩემკარ არ გესწავლისპათ, მაგრამ მოდით ჩვენი პრობლემები სცენის მიღმა დავტოვოთ, მოვიკრიბოთ ყურადღება და გვახსოვდეს, რომ ყველაზე წმინდა სპექტაკლია.
დოტი დარბაზში რა ხდება? სავსეა?
ტიმი დილის წარმოდგენისთვის ნორმალურია.
ბელინდა აი, რას ნიშნავს ნამდვილი არტისტის სული.
ფრედი არაფერია დოტი, ყველაფერი კარგად იქნება.
სელზდონი მიდი ჩემო კარგო გახსენი ფარდა.
პოპი ჩუმად.
ფრედი ერთი სიტყვა მაოქმევინეთ...
სელზდონი ერთი სიტყვა მაოქმევინეთ: თევზის კონსერვი.
ბელინდა თევზის კონსერვი.
ფრედი თევზის კონსერვი.
პოპი სიჩუმე სცენაზე, დარბაზში სინათლე ქრება, პირველი მოქმედება.
ლოიდი რა ხდება?
ტიმი ფარდის გახსნას ვაპირებთ.
ლოიდი უკვე ერთი საათია ვიცდით, დარბაზში ჩათვალეს, რომ ვიღაც მოკვდა.
ფრედი მაპატიე, ჩემი ბრალია, უბრალოდ ყველას სათითაოდ რაღაც ვუთხარი.
ლოიდი ფრედი, ზუსტად იცი დროის შერჩევა.
ფრედი მაპატიე, ვიცი ამის დრო არ არის, მესმის.
ლოიდი იქნებ ვინმეს სურს თავისი აზრის გაზიარება?
პოპი ახლა მართლა არ არის ამის დრო, მაგრამ...
ლოიდი რა?
პოპი მოგვიანებით აჯობებს.
ლოიდი შენ იყიდე არა ეს ყვავილები პოპისთვის?



Forward გადმოწერა

წიმი ხო, არა, მაგრამ...
ლოიდი ჩემთვის არ გიყიდია, არა?
წიმი კი, არა, მაგრამ...
ლოიდი ეჭვიანობა იცი? ოტელო ხომ წაგიკითხავს?
წიმი კი, არა, მაგრამ...
ლოიდი მაშინ იღებ 5 ფუნტს შენი ჯიბიდან და ყიდულობ ყვავილებს, ოღონდ ჩემთვის, გესმის ჩემთვის.
ფრედი ღმერთო.
ბელინდა არ იტირო პოპი ძვირფასო.
პოპი პირველი მოქმედება. ფარდა.

პოპი მომისმინე ლოიდ, ან ეხლა ან არასდროს, მესმის რომ ეხლა არ არის ამის დრო, მაგრამ შეიძლება სხვა დრო აღარც მქონდეს. შენ არასოდეს არა ხარ სახლში, მთელი დღე რეპეტიციაზე ხარ, არ გცალია დილით, შუადღისას, საღამოს, ღამითაც კი შენ არასოდეს არ გცალია, არ მაინტერესებს სად ად ვისთან ატარებ ღამეს, მაგრამ არ დავწყ ნარდები, არა. ყველეფერი უნდა ითქვას, ეხლა სანამ ფარდა დაშვებულია, მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ მაინტერესებს, ვერ მომატყუებ. დაგინახე იმ კაქტუსით ხელში, ბრმა ნუ გგონივარ, კარგად გაცნობ რაცა ხარ, ვინ არის მეორე მსხვერპლი რიჩარდ III-ში, გამოტყდი, ლედი ანა თუ მარგრეტი? მე ყველაფერს ვიტყვი, არ მოგწონს სიმართლე? მაგრამ მაინც მოგიწევს მოსმენა: ფეხმძიმე ვარ შენგან
ლოიდი ფარდა.





III მოქმედება:

პომა  ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ დაიკავოთ თქვენი... გამოეთრიე სცენიდან შენი...

კლაკეტი  თან თევზის კონსერვი გავხსნა . თან ყურმილი ავიღო. რვა ფეხი ხომ არა ვარ? მაგრამ რატომ უნდა ავიღო ის ხომ არ რეკავს, ისე ჩუმად რეკავს, რომ მეც არ მესმის. რეკე. რეკე შენ რა. ეს ახალი ტიპის ტელეფონებია...ალო. თან რეკავს თან... დიახ,მისტერ ბრენდი არ არის და არც იქნება. ცხოვრობს. როგორ არ ცხოვრობს, მაგრამ ახლა არ ცხოვრობს. ესპანეთშია და იმიტომ. ეს მისტერ ბრენდი. სწორედ ის პიესებს რომ წერს, ოღონდ ეხლა ესპანეთში წერს. მეუღლე? ისიც ესპანეთშია. მართალი ხართ, საზიზღარი ქალია. ამას წინათ წარმოიდგენიათ ვდგავარ ჩემთვის, კონსერვით ხელში, და ფეხი არ დამიდო?! უარესიც ხდება. უარესიც, პოდა თუ ასეა ეგდოს ის თევზის კონსერვი იატაკზე. ა, იმათ ურეკავთ ვინც აქირავებს? სცადეთ. სცადეთ. პეკემი და ვერ გიმახსოვრებ რა ქვია იმას... მოკლედ, ნზედან სადღაც და დაურეკეთ. ყოველთვის ასეა. ერთად უნდებათ რეკვა. მორჩა. ახლა ვიღებ თევზს, არა ვიღებ ყურმილს და ვტოვებ თევზს, სამი თვის წინ გაუტანე ბოლოს. რაღა მახსოვს რას ვტოვებ. ისეთი გულმავიწყი გავხდი?! ვიცი ვიცი. მახსოვს. გავდივარ.

როჯერი  ასე, რომ მთელი სახლი ჩვენს განკარგულებაშია, შევამოწმოთ. სახლში არის ვინმე? გეუბნებოდი, მოგწონს?

ვიკი  საოცარია. და ეს ყველაფერი შენია?

როჯერი  კარგი, კარგი. ისეთი არაფერი, ძე-16 საუკუნის დანგრეული წისქვილია ტყის პირას.

ვიკი  მაგარი ძვირი დაჯდა?

როჯერი  ისე რა, უნდა გქონდეს ერთი ადგილი საქმიანი შეხვედრებისთვის. ერ ვიღაცას ყურმილის დაკიდება დავიწყებია. ოთხ საათზე უნდა დამირეკოს ის არაბმა შეიძინა. მოსვლას აპირებს და თუ არ დავკიდებ, ვერ დარეკავს.

ვიკი  მე კიდევ ოთხ საათზე საბუთები მაქვს მისატანი ჩვენს დეპარტამენტში.

როჯერი  მაშინ დროზე თორემ... ვერ გასწრებთ გასწორებას... შამპანურსაც... ნუ წაიღავთ.

ვიკი  ეს რა კარებებია?

როჯერი ეს კაბინეტია, ეს საშხარეულოა, აქ კიდევ ცალკე ოთახი გვაქვს სადაც
ვდებთ ხოლმე ტელეფონის ყურმილს.
ვიკი მაგარია, და ის სად არის?
როჯერი რა? ა, აქეთ მობრძანდით.
ვიკი დაყიკი...
როჯერი ტელეფონის ყურმილი ვისლა მოუპარავს?
კლაკეტი თევზი სადაა? თევზის წასაღებად შემოვედი, მე აქ არა ვარ. და
საერთოდ, ვინ ვარ მე? და სად?
როჯერი მაპატიეთ, არ მეგონა აქ თუ ვინმე იყო?
კლაკეტი არავინაც არ არის... მე დასვენების დღე მაქვს და ვიფიქრე...
უკაცრავად თქვენ ვინ ბრძანდებით?
როჯერი მე სააგენტოდან ვარ, სკვაერ, სკვაერ, პეკემი და დედლი.
კლაკეტი შენ გაიხარე, დედლი, აბა რა დედლი. ტელეფონი სად გაქრა?
როჯერი მე ტრემპლმენი ვარ.
კლაკეტი ტელეფონი სად გაქრა?
როჯერი მე ტრემპლმენი ვარ.
კლაკეტი ტელეფონი სად გაქრა?
როჯერი მე ტრემპლმენი ვარ, თქვენ ალბათ ქურდი გეგონეთ.
კლაკეტი ყურმილს აქ ვდებ და რამე რომ იყოს იცოდეთ.
როჯერი თქვენ რომ არ გეგონეთ, რომ ქურდი ვარ, სააგენტოდან გაწუხებთ,
რადა ზომები მქონდა დასაზუსტებელი და გზად შემოვირბინე.
კლაკეტი ახლა თევზის კონსერვი გაქრა
როჯერი ჩემთან ერთად კლიენტია სახლის ქირაობა სურს, სასწრაფოდ
მჭირდებაო.
ვიკი ეს საძინებელი არ არის.
როჯერი ეს აბაზანაა, სანკვანძთან შეთავსებული, პირველი სართულის
საპირფარეშო, ეს კიდევ ჩვენი შინა მოსამსახურე, მისის კროკეტი...
კლაკეტი არა, ყმაწვილო, კროკეტი კი არა, თევზის კონსერვი...
ვიკი პაა!
როჯერი პრინციპში ის აქ არ არის.
კლაკეტი შეიძლება მე აქ არა ვარ, მაგრამ შენ პირადად პირდაპირ იმაზე
დგეხარ.
როჯერი დიდი ტელევიზორით... თანაც სამაყოთ...
კლაკეტი რატომ დაადგი ფეხი, რატომ აფუჭებ?
როჯერი ჩვენ დიდხანს არ შეგაწუხებთ.
კლაკეტი მართლა მე, რომ მჭირდებოდეს ეს თევზის კონსერვი კი...
როჯერი მხოლოდ სახლს დავათვალიერებთ.
კლაკეტი იატაკის მოწმენდა მომიწევს.
როჯერი მაპატიე ვიკი.
ვიკი ტელევიზორი გვჭირდება ყითოლ?
როჯერი ტელევიზორი? ხო, თქვა მან, რომ ტელევიზორს ყურებას აპირებს,
ისიც თქვა, რომ ის არის, რა ქვია იმას, სამეფო... თანაც ეს თევზის
კონსერვი... ახლა ის, რომ ამას ხედავდეს, წარმოგიდგენია?
ვიკი არ ვნახოთ სხვა ოთახები? ოთხზე დეპარტამენტში უნდა ვიყოთ.
როჯერი ხომ უნდა ყოფილიყო გასაგები რა ხდება? რა ხდება? სადა ვართ?
ვიკი წამოიღე და საბუთებიც არ დაგრჩეს.
როჯერი მერე?
ვიკი რა მერე?

როჯერი იმაზე ვთქვით?
ვიკი ვინ იმაზე?
როჯერი ჩვენ შინა მოსამსახურეზე, ოჯახის წევრივით რომ არის?
კლაკეტი თევზის კონსერვისა არ იყოს, იატაკიც მოსაწმენდია. ეს რა
წამოშლილია.
ვიკი გლიჯავს.
კლაკეტი ნაშლეილი ბრძოლის ველია.
ვიკი მართალია.
კლაკეტი შეხედეთ, ამას აქ ვდებ. აქ ვერ მიაგნებს, ამას თქვენ მიხედავთ, მე
წავედი. ერთ თევზის კონსერვს კიდე გავხსნი.
ვიკი თევზიც შემოგვთავაზა, მაგარია.
როჯერი საოცარია, მოკლედ რას აპირებ?
ვიკი ამას რა ვუყო?
როჯერი რა ვიცი, დაახვიე და..
ვიკი სად?
როჯერი ზემოთ, ზემოთ.
ვიკი ა, ზემოთ? ამ კარში?
როჯერი საოცარია.
ვიკი მოკლედ რას აპირებთ?
როჯერი დროზე ავიდათ საძინებელში, ეს მე მომეცი და შენ ისინი წამოიღე.
ვიკი აქ აბაზანაა.
როჯერი ჩანთები არ დაგავიწყდეს.
ვიკი შავი ზეწრები.
როჯერი ჩანთები არ დაგავიწყდეს.
ვიკი ეს კარადაა.
როჯერი ჩანთები
ვიკი კარები ნუ გაგიქდება.
როჯერი ჩანთები რომ არ გავიტანოთ... აქეთ, აქეთ... თან. რომ არ გვქონდეს
ჩანთები... ზემოთ.
ვიკი ნეტა კარი არ გაანგრიოთ.
ფილიპი სახლი ჩვენს განკარგულებაშია. მისის კლაკეტსაც დასვენების დღე
აქვს. [illegible]
ფლავია შესანიშნავია.
ფილიპი მოგწონს?
ფლავია დაუჯერებელია.
ფილიპი სპეციალურად ასეთი შეხვედრებისთვის მაქვს ნაყიდი.
ფლავია საკუთარ სახლში, ე. ი. არავინ არ შეგვაწუხებს, რამდენი ხანია არ
ვყოფილვართ მარტონი. ტელეფონიც ეზოში დავგხვდა.
ფილიპი მოდი თავის ადგილას დავდოთ.
ფლავია ვფიქრე: არ ჯობია სახლში შემოვიტანოთ–მეთქი, იქნებ ვინმეს
დაჭირდეს. [illegible]
ფილიპი ჭკვიანურია, ეტყობა მაგთული რაღაცას გამოედო.
ფლავია აბაზანაში ნახე, იქ იქნება გახლართული.
ფილიპი აბაზანაში ფანჯრიდან გადავძვრები და...
ფლავია სასაცილოა, პატარა ბავშვებივით ვიმალებით და შენ ალბათ გინდა
თქვა, რომ ნავადასახადო, რომ გაფუჭებს აქ გარეთ, სიცილი მერე ნახეთ,
არა?! რა საინტერესოა, ბოროტ ბოქმედად ვგრძნობ თავს. საკუთარ
სახლში, ასე არ არის?

Forward გადმოწერა

ფილიპი რა?
ფლავია ვიცი რასაც ფიქრობ. ისიც ვიცი სიტუაცია რთულია.
ფილიპი რთულია,ძალან რთულია.
ფლავია შენ ხომ საგადასახადოზე ფიქრობ, ალბათ.
ფილიპი. ვფიქრობ აბა არ ვფიქრობ. საგადასახადო ხომ საგადასახადოა, მაგრამ მთავარია საძინებელში მოვხვდეთ.
ფლავია კი, მაგრამ მე ხომ ვიცი რომ შენ მართო საგადასახადოზე ფიქრობ. ფიქრობ ჩუმად. საგადასახადო დეპარტამენტში არ გაიგონ, რომ დავბრუნდით. ურჩ გადამხდელებთან მე ურთიერთობას არ ვამყარებ. ქვემოთ.
ფილიპი ჩუმად. საგადასახადო დეპარტამენტში არ გაგვიგონ.
ფლავია და მე ურჩ გადამხდელებთან ურთიერთობას არ ვამყარებ.
კლაკეტი ფეხის წამოდება ზოგიერთებმა კარგად იციან და სულაც არ ფიქრობენ, რომ თევზის კონსერვი დასჭირდებათ.
ფილიპი მისის კლაკეტ გაზეთი?
კლაკეტი როგორ შემაშინეთგული გამისკდაუფრო სწორედ კინაღამ გული დივანის ქვეშ ამივარცალდა.
ფილიპი აქ არ არის.
კლაკეტი როგორ თევზის კონსერვები? სარდინები იმის ქვეშ არის, მაგრამ მაინც ძალიან შემეშინდა.
ფილიპი ჩვენც.
ფლავია გვეგონა აქ არა ხართ.
კლაკეტი მე მეგონა სარდინიაში ხართ.
ფილიპი ჩვენ აქ არა ვართ. ჩვენ სარდინიაში ვართ.
ფლავია რომ გკითხონ ვერც კი გვხედავთ.
კლაკეტი საჩუქარიც პირდაპირ აქ მოურთმევიათ.
ფლავია რამე რომ იყოს საგადასახადო დეპარტამენტის ვეშინია.
კლაკეტი როგორ? ა, რა საკვირველია, ზუსტად ვიცი ვინც გააკეთა ეს
ფლავია რომ გკითხონ, ვერც კი გვხედავთ.
კლაკეტი რატომ მიკეთებ ამას? რა სუმრობაა?
ფლავია საძინებელში მივდივართ.
კლაკეტი თქვენ გგონიათ შევრჩებათ? თქვენთვისაც მაქვს პატარა საჩუქარი.
ფლავია სათბურაში წყალს ჩავასხავ და გავთბები.
კლაკეტი თევზის კონსერვი უნდა გაჩუქოთ ქალბატონო.
ფილიპი ღმერთო ჩემო.
ფლავია საკუთარ თავს ელაპარაკები? მართო დაგტოვა? წერილებზე ხომ არ გითხრა რამე?
კლაკეტი რაო, რას გეუბნება?
ფლავია წერილების თაობაზე ხომ არ გითქვამთ? კაბინეტში დაუტოვებია, საგადასახადოდან უნდა იყოს.
ფილიპი ხო, გადასახადები, გადასახადები.
კლაკეტი რა გინდა მისგან და მისი წერილებისგან? ეს კაცი რა, მართო შენ გეკუთვნის?
ფლავია ყოველ შემთხვევაში წერილები საწერ მაგიდაზეა.
კლაკეტი რა გადაეკიდე ამ ქალს, ჯვარი გიქვს დაწერილი? თუ ასეთი ძნელია ჩვენი ერთად ყოფნა, ვიყოთ ერთად.
ფილიპი კაბინეტში ჯობია, თორემ ვინმე გაიგებს.
როჯერი ეს რა გავიგე!

ვიკი ხმები? რა ხმები?
როჯერი ჩანთები, ჩანთებიდან ხმებია? ჩანთებმაც კი გაიგეს.
ვიკი მოგესმა, არაფერია ხომ ხედავ.
როჯერი აშკარად დავინახე, აი, იმ კარის სახელური ტრიალებდა, მაგრამ ჩანთები... არა, ზუსტად არ მახსოვს, იყო ეს ჩანთები ჩვენ როდესაც შემოვედით, მაგრამ ხომ ხვდები რისი თქმაც მინდა? მისის კლაკეტი სად არის? ნახე, თევზის კონსერვიც გაუხსნია ჩვენთვის. უნდა შევიდე ვნახო. შენ ნუ ჩახვალ, მე ავიღებ, მისის კლაკეტმა არ დაგინახოს.
ვიკი რა მოხდა?
როჯერი მისის კროკეტს ვერავინ შეცვლის ამ ქვეყნად ჩემთვის.
კლაკეტი ესეც ასე, თქვენ რაღა გნებავთ?
როჯერი დავვრჩა კიდევ სანახავი რაღაც-რაღაცეები.
კლაკეტი კარადაში?
როჯერი ყველა კარს შევამოწმებ, სახელურებსაც. მისის კროკეტ.
კლაკეტი კლაკეტი, ძვირფასო, კლაკეტი
როჯერი თქვენს გარდა ამ სახლში არის კიდევ ვინმე? რაღაც ხმები მომესმა, მისის კრაკეტ.
კლაკეტი კლაკეტი, ჩემო ძვირფასო, კლაკეტი
როჯერი გეკითხებით, ამ სახლში არის ვინმე? მომესმა, თითქოს ვიღაცა ლაპარაკობდა რაღაცას, ეს ჩანთებიც ვიპოვე... ჩანთები, ხმები, ჭორები, ხმები დადის...
კლაკეტი რა ხმები დადის, ძვირფასო.
როჯერი გინდა თქვა, რომ მეჩვენება?
ფილიპი ღმერთო ჩემო.
როჯერი რა ბრძანეთ?
კლაკეტი ღმერთო ჩემო ეს რა დაგვემართა.
როჯერი რაშია საქმე?
კლაკეტი კაბინეტის კარი ღია დავყრჩა.
როჯერი ამას აქ დავდებ, იქნებ ვინმეს დასჭირდეს.
ფლავია ამ სახლში ყველაფერი ერთდროულად როგორ ფუჭდება?!
წიმი უკანასკნელი გაფრთხილება, მიღებული იქნება უკიდურესი ზომები.
კლაკეტი თქვენ ვინღა ხართ?
წიმი მე? მე ფილიპი.
კლაკეტი ფილიპი? რა დაემართა?
წიმი ვის?
კლაკეტი იმას?
წიმი თევზის კონსერვზე ფეხი დაუცდა, უფრო სწორედ დაიმიცდა და...
კლაკეტი დაეცა? უფრო სწორედ დაეცით? რა უქნა მოკლა ხომ? ოფრო სწორედ მოგკლათ? მოკლავდა.
წიმი არა, არაფერი ისეთი, ცოტა ხანში გონს მოვა-ლ, მე, და არ აპირებთ იმის თქმას, რომ სახლის თაობაზე იყვნენ მოსულები?
კლაკეტი რათ?
ტიმი სახლის თაობაზე ხომ არ იყო ვინმე მოსული?
კლაკეტი ა, კი, როგორ არა, ერთი იყო მოსული.
წიმი რაც უნდა ის გააკეთონ, ოღონდ არ უთხრათ, რომ აქ ვარ.
კლაკეტი ძალიან ხომ არ არის დაშავებული?
წიმი ამას სკვაერ, სკვაერ, ხუკემი და დედლი მიხედავს.
კლაკეტი თქვენი ჩანთები ეზოში გაიტანა.



Forward გადმოწერა

წიმი — რაც უნდათ ის გააკეთონ, ოღონდ არ უთხრათ, რომ აქ ვარ.
კლაკეტი — სულ დამავიწყდა. თევზის კონსერვი მოვიტანე, სად დავდე? აშკარად გავსხენი, სულ გამოვშტერდი. აქ არის. და ამის აღსანიშნავად კიდევ ერთი ბოთლიც უნდა გავხსნა. წავალ და გავხსნი.
ფლავია — ძვირფასო..ხო, შენ ჩემო ძვირფასო, ასეთი სახელური როდის ვიყიდე, ხომ არ გახსოვს?
წიმი — არა.
ფლავია — ასეთს არასოდეს ვიყიდდი. შენ ხომ არ მაჩუქე?
წიმი — მეტი საქმე არ მქონდა.
ფლავია — არა, ისე ცუდი არ არის.
წიმი — მეტი საქმე არა გაქვს? იქნებ დააბრუნო თავის ადგილზე.
ფლავია — ჯობია სხვენში ავიტანო, იქნებ შიგნიდან მოუხერხოს რამე
როჯერი — კაბინეტის კარი ისევ ღიაა, კაკუნია ზემოთ? რა ხმებია? ღმერთო ჩემო, ნუ აკაკუნებ. გაჩერდი. ტყუილად აკაკუნებ. მე ვერ შევძლებ, შენით, შენით, შენით მოახერხე რამე. მოკლედ ვინც არ უნდა იყო მაინც, ხომ გესმის ჩემო ძვირფასო, ნუ აბრახუნებ. აქედან არ ხერხდება. იქედან გამოძვერი. იქედან. აი, იმ პატარა ფანჯრიდან ჩამოძვერი, რომელიც აბაზანას საძილებელთან აკავშირებს. ცოტა მარცხნივ აიღე ეხლა, მომეცი ხელი, თავი, თავი, თავი არ მიარტყა. აი ასე, ფრთხილად, ყოჩაღ.
ფილიპი — უკანასკნელი გაბრთხილება. მიღებული იქნება უკიდურესი ზომები
როჯერი — ა, აქა ხარ? შენ ხარ?
ვიკი — შენ არ ჩამკეტე იმ კარადაში?
როჯერი — მე იქ არ ჩამიკეტიხარ. მომიყევი, როგორ მოახერხე საბაზანოს იმ წვრილი ფანჯრიდან გამოძრომა?
ვიკი — შენ არ ჩამკეტე იმ სიბნელეში?
როჯერი — მე ჩაგკეტე?
ვიკი — აბა ვინ?
როჯერი — ასე შიშველი აქ ხომ არ იდგები?
ფილიპი — მიღებული იქნება უკიდურესი ზომები... მაპატიეთ ჩემი ბრალია.
ვიკი — ახლა რა ვქნათ?
როჯერი — სათბურა. უფრო სწორედ წამლების ყუთი. აქ ვინ დადო?
ვიკი — მოჩვენება ხომ არ არის?
ფილიპი — ბოდიში.
ფლავია — არ წვები?
როჯერი — რა თქვი?
ვიკი — არაფერი.
როჯერი — ჯერ სახელური, მერე სათბურა. უფრო სწორედ წამლის ყუთი. თევზე რომ არაფერი ვთქვათ.
ვიკი — იცი, ამბობენ ძველ სახლში მოჩვენებები ცხოვრობენ.
როჯერი — რომელ საუკუნეში ცხოვრობ?
ვიკი — რა მოხდა?
როჯერი — თევზი გაქრა. არა, უფრო სწორედ, არ გამქრალა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ არ გამქრალა, ჩვენს დროში ერთი წამით არ შეილება თევზის კონსერვის დატოვება. აჰა, თევზი გაქრა.
ვიკი — ხომ გამბობ, რაღაცა ხდება-მეთქი.
როჯერი — აქ დავდე თუ იქ?
ვიკი — ჩანთა.

Forward გადმოწერა

რუჯერი ეტყობა მისის კროკეტმა უკან წაიღო ან არ წაიღო, რა იყო, რა მოხდა?
ვიკი ჩანთა.
როჯერი რა ჩანთა?
ვიკი ჩანთა, ჩანთა.
როჯერი ჩანთა.
ვიკი იყო და აღარ არის.
როჯერი აღარ არის?
ვიკი ხო, ჩანთა აღარ არის.
როჯერი ჩანთა კი არა, თევზი იყო და აღარ არის.
ვიკი ჩანთა აქ იყო და აღარ არის.
როჯერი საძინებელშია.
ვიკი იქ არ შეხვიდე.
როჯერი აი, ჩანთაც და ყუთიც.
ვიკი და საქაღალდე?
როჯერი ჩანთაც არის და ჩანთაც.
ვიკი მთელი საბუთები იქ მქონდა.
როჯერი მაშინ ჩაიცვი.
ვიკი საძინებელში ცოცხალი თავით არ შევალ.
როჯერი კარგი, მე გამოგიტან, კაბაც არ არის, ნუ აჰყვებით პანიკას, ყველაფერს უნდა ქონდეს ლოგიკური ახსნა.
ვიკი არ მომეკარო როჯერი.
ფილიპი გაგეცინებათ, მაგრამ...
ფლავია არ დავწვეთ?
ფილიპი ხმა გამეცი.
ფლავია ღმერთო ჩემო.
ფილიპი რა მოხდა?
ფლავია მიპასუხე, მიპასუხე.
კლაკეტი ვიცოდი, ამასაც მოკლავდა.
ფლავია არა, უბრალოდ ფეხი დაუცდა და თავი მიარტყა.
ფილიპი ღმერთო ჩემო.
კლაკეტი განგებ დაუდებდა ეგ ფეხს.
ფლავია როგორ გრძნობ თავს, ძვირფასო, ნორმალურად?
როჯერი ნუ აყვებით პანიკას.
ფლავია რას გეუბნებოდით? მშვენივრად გრძნობს თავს.
ფილიპი კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.
კლაკეტი ამჯერად კი.
ფლავია გავაგრძელეთ, გავაგრძელეთ.
როჯერი ყველაფერს უნდა ჰქონდეს ლოგიკური ახსნა, ახლავე მისის კლაკეტს ვკითხავ.
კლაკეტი თავი დამანებე ისედაც არეული მაქვს ტვინი.
ფლავია მე აგიხსნით ყველაფერს.
როჯერი ამას რას ვხედავ აქ უცხო მამაკაცია.
ფლავია ხო, და მეც აქ ვარ.
კლაკეტი არა, აქ არავინ არ არის, არა? ასე არ არის?
ფლავია არ არის ასე, რა საკვირველია შენ გაკვირვებული ხარ, და შენც, ჩვენ ყველას გვიკვირს, გამოდიხარ და რას ხედავ, კიბის ქვეშ ვიღაც გდია, ასე არ არის ძვირფასო?

Mariaı

ფილიპი   ღმერთო ჩემო.

ფლავია   ვინაიდან ყველანი აქა ვართ, უნდა გავარკვიოთ, უფრო სწორედ, უნდა გავეცნოთ ერთმანეთს, არა, ძვირფასო?

ფილიპი   ღმერთმანი, ღმერთმანი.

ფლავია   ჩემი მეუღლე, რომელიც გავეცნებათ, მაგრამ კონცერტს მიეწება და თეფშსაც. მოდი, ახლა ის წავა აბაზანაში, იქ ბოთლი დგას, აწერია "გამხსნელი", ძვირია, წების კი არა ყველაფერს დაშლის.

ფილიპი   ძალიან კარგი, მიუხედავად ამისა, ეს პრობლემალა მაკლდა.

ფლავია   მე ფლავია ვარ.

კლაკეტი   ნახეთ, გვქურდავენ, როგორ დროულად.

წამი   ან გისოსები დააყენონ, ან სიგნალიზაცია, ქურდების მაინც არ ეშინიათ?

კლაკეტი   შემოგვიერთდი, მოდი, მოდი.

წამი   გაგიჟდება კაცი.

კლაკეტი   ეპ, აბა ჩვენ გვკითხე რა დღეში ვართ?

ფილიპი   ღმერთო, ღმერთო.

ფლავია   რა საინტერესოა? ჩემს ცხოვრებაში ბინის ქურდი პირველად ვნახე, საინტერესოა.

როჯერი   დიდხანს ვიდგეთ ეხლა ასე? არ დაგვეხმაროთ ნივთების გატანაში?

ფილიპი   ჩემი ბრალია ყველაფერი.

ფლავია   რატომ, მოდით გავესაუბროთ, მოგვიყვეს: როგორ ძარცვავდა ბანკებს, ტენიდა სეიფებს ოქროს ზოდებით გატენილს, ახლა კი ეპ...

ფილიპი   არა, არა, ჩემი ბრალია, არ უნდა მეთქვა „ ეს პრობლემალა მაკლდა...

სელზდონი   ან გისოსები დააყენონ, ან სიგნალიზაცია, ქურდების მაინც არ ეშინიათ? სასამართლოში უნდა უჩივლო განზრახ ცდუნებაში შეყვანისთვის.

ფილიპი   წამომცდა არ მინდოდა.

სელზდონი   გაგიჟდება კაცი.

კლაკეტი   მართალია, ზუსტად პატარა საგიჟეთი გვაქვს.

როჯერი   შეიძლება ერთი კითხვა დაგსვა? ახლა რაღა გქნათ?

ფლავია   გამოვძვრებით.

სელზდონი   რა დრო იყო, ვძარცვავდი ბანკებს, ვტენიდი სეიფებს.

ფლავია   გააგრძელე, გააგრძელე.

სელზდონი-წამი   ოქროს ზოდებით გატენილს.

ფილიპი   ღმერთო, ღმერთო, გვიშველე რა.

ფლავია   მერე, მერე, რა საინტერესოა.

სელზდონი   სახლის პატრონები ესპანეთში არიან, ბებერმა მოსამსახურემ თავის პირით მითხრა, თვითონაც არ არის სახლში, დავინახე ამ წუთში გავარდა.

ფლავია   არაფერია, მოვიფიქრებთ რამეს.

როჯერი   ახლა სასწ, რა ერთად დაიწყებენ ძარცვას? და ჩვენ... უნდა... ხომ გესმით რასაც თქმაც მინდა?

კლაკეტი   აბა რას გვთავაზობ, გაგვიდნენ და საძარცვად ცოტა მოგვიანებით შემოვიდნენ?

სელზდონი   ამის ბრალია, მე ძალიან ყურადღებით ვიყავი.

ფილიპი.   ვიცი, ვიცი, ჩემი ბრალია, არ უნდა მეთქვა ეს დასაწყევი „ პრობლემალა მაკლდა...

სელზდონი   ხოდა იღება კარი და...

ლოიდი   ან გისოსები დააყენონ, ან სიგნალიზაცია, ქურდების მაინც არ ეშინიათ?

ფილიპი   ღმერთო, აღარ გვინდა მეტი.

კლაკეტი   ღმერთი საშობითაა.

Forward გადმოწერა

ყველანი რა დრო იყო, ვძარცვავდით ბანკებს...
ფლავია ეს ის არ არის?
ლოიდი მინდოდა სურპრიზი...
ფლავია არა ეს ქურდი არ არის.
ლოიდი ამ წუთში ჩამოვედი.
ფილიპი მადლობთ ღმერთო, მშველელი გამოგვიგზავნე.
როჯერი ვინ?
ფლავია ეს ის ადამიანია, რომელსაც ამდენი ხანი ველოდით, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ გაუგებრობას, გვიშველე.
ლოიდი აბა, როგორ, გიმეორებთ: ღმერთი კი ვარ, მაგრამ დაბალი რანგის, მართალია უმაღლესი განათლებით.
როჯერი რა ვქნათ?
ლოიდი ამაზე მეტი რა უნდა გააკეთოთ? მაცადეთ, ტელეფონზე უნდა დავრეკო ან ერთი ჭიქა დავლიო.
ფლავია რამე უნდა მოიფიქრო.
ლოიდი რანაირად? ჩემი ტვინი ახლა რიჩარდ III-ით დაკავებულია ის მაინც მითხარით სად გაჩერდით. სადა ვართ?
კლაკეტი აქა ვართ, აქ და რამენაირად ბოლოში უნდა გავიდეთ.
ლოიდი მოვიფიქრე. არის. შემოიტანეთ თევზის კონსერვი.
კლაკეტი აქ არის.
ლოიდი ე. ი. მოიტანეთ?
ყველა მოიტანა, მოიტანა.
ფილიპი ღმერთო ჩემო.
ლოიდი მაჩვენეთ თქვენი შეტყობინება.
ყველა აი ქვითარი.
ლოიდი და ერთმანეთს გადეცანით უკვე?
ყველა რა საკვირველია.
ლოიდი მაშინ მე გთავაზობთ...
ფლავია აიღე.
სელზდონი რიჩარდ III-ს ვთამაშობთ?
კლაკეტი რას ამბობ?
ფლავია ამბობს პოლიციაში დარეკეთო.
როჯერი პოლიციაში?
ყველა ხო, პოლიციაში დარეკე.
ლოიდი ტელეფ...
ფლავია მართალია, სად არის ტელეფონი?
კლაკეტი მოიტანეთ ტელეფონი.
წიმი ტელეფონი მოვიტანო?
ფლავია ტელეფონიც ვიპოვეთ.
როჯერი არა.
ფილიპი ღმერთო.
ფლავია უნდა გავმაგრდეთ.
ყველა აიღე ყურმილი.
ფლავია ეს პოლიციაა, უთხარი, რომ დაიკარგა ახალგაზრდა ქალი...
ვიკი ბალიშია, ბალიში.
კლაკეტი ეს როგორ დაგვავიწყდა?
ვიკი შემნიშნა და გავექეცი.
კლაკეტი ვის?

Forward გადმოწერა

როჯერი ეხლა მოდის: ნივთები ადგილზეა.
ვიკი -- „ნივთები ადგილზეა„-მერე?
ფლავია არ გამაგიჟო, რა ვქნათ ეხლა?
ლიოდი ჩემი მატარებელი 40 წუთში გადის.
კლაკეტი ისე გამოჩნდა.
პიპი მშვენიერია, სახლია ვქირაობ.
ფლავია როგორ დაგვავიწყდა, დღეს ხომ მათ ქორწილი აქვთ, რა შესანიშნავი დასასრულია, რა ბედნიერი წყვილია, მოდით დავტოვოთ ისინი მარტო, ნუ შეუშლით შეყვარებულებს ხელს, ახლა ჩვენ ფარდას გადავწევთ და მორჩა.
წიმი ფარდა?
კლაკეტი აი, პატარძლის დედაც ჩამოსულა, ახლა ის ფარდას გადაწევს ხოლო ვიკი იტყვის: რას მეტყვი მამა.
ვიკი რას მეტყვი მამა?
სელზდონი როდესაც ირგვლივ ქაოსი, გაუგებრობა და არეულობაა, გამოსავალი თევზის კონსერვშია, გახსენი, მიირთვი და ისიამოვნეთ.
ყველა ფარდა.

